საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 1 ნოემბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, ... გვერდზე, ისე მეოთხეზე, ... მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისიათ განცხადებები არ დაიბეჭდება. რედ. და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 249 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 249

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფი მეუღლე ფუნდუ შვილებით აუწყებს ნაცნობთ, მეგობართ და ნათესავებს, რომ კვირას, 2 ნოემბერს, დილის 11 საათზე კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე, გარდაცვალების 6 თვის თავზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგული

**რაფიელ ალექსის ძე ჩიხლაძის**

ხსოვნის აღსანიშნავათ. (3—2)

უსაზღვროთ დამწუხრებულნი: სიმამრი და სიდედრი, ცოლის ძმები და დები, რძალი და ქვისლები: ალექსი და იულიტე, არტემი, სიმონი, მართა, რახილო, ფიდოსი და ქსენია კალანდაძეები, ნოე იოსების ძე და ნოე მალაქიას ძე რამიშვილები და ვასო ჩოხელაშვილი (ტუქიაშვილი) ვაცნობებთ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დამფუძნებელი კრების წევრის, ძვირფასი და დაუვიწყარი

**რაფიელ-ალექსის ძე ჩიხლაძის**

ექვსი თვის ხსოვნის აღსანიშნავათ კვირას. 2 ნოემბერს წმ. ნინოს (კუკიის) სასაფლაოზე დილის 11 საათზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი. (უფ.—2—1)

მეოთხე რაიონული კოლექტივი აცხადებს ნაცნობთ, ამხანაგებისა და და მეგობრების საყურადღებოთ, რომ კვირას, დილის 11 საათზე, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე, 6 თვის თავზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი სახალხო ტრიბუნის, დაუღალავი პარტიული მუშაკის და მე 4 რაიონული კოლექტივის ყოფილ თავმჯდომარის,

ამხ. **რაფიელ ჩიხლაძის**

ხსოვნის აღსანიშნავად. (6. 2—1)

კვირას, 2 ნოემბერის, დილის 11 ს. ქვაშვეთის წმ. გიორგის ტაძარში (თფილისში) გადახდილ იქნება 40 დღის წირვა და შემდეგ იქვე ტაძრის გალავანში, მიცვალებულის საფლავზე პანაშვიდი

**მატრონა დანიელის ასული ცინცაძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები მიცვალებულისა. (2809—2—2)

ქ. ქუთაისში: კვირას 2 ნოემბერს (ახ. სტილით) 10 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ მე 4 კურსის სტუდენტ

**ანტოშა ხაზარაძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გულდათუთქულნი მშობლები: გულჩინა გაიოზის ასული და ილარიონ ანტონის ძე ხაზარაძე შვილებითურთ. (2822—2—2)

გულდამწვარი და ღრმად დამწუხრებული მეუღლე ბარბარე დავითის ასული კეშელავასი და შვილები: გიორგი და დარია აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხუთშაბათს, 6 ნოემბერს დილის 11 ნახ. საათზე გადახდილი იქნება ფოთის სასაფლაოს ეკლესიაში წლის წირვა და პანაშვიდი

**თადეოზ გიორგის ძის კეშელავას**

სულის მოსახსენებლად. (2831—1—1)

შაბათს, 8 ნოემბერს ქ. ფოთში ნაბუტურის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის დედა და შვილის:

**ირინე და მარიამი ვეკუას**

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს გულდამწვარი მამა და შვილები: ლუკა და დათუშა ვეკუა. (კუპ. 628—1—1)

ღრმად დამწუხრებული ნიკოლოზ გიორგის ძე ქუჩუკაშვილი აცნობებს ნათესავთა და ნაცნობთ თავის დედის

**თებრონე ნიკოლოზის ასული ქუჩუკაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი შაბათს, საღამოს 6 საათზე, გამოსვენება ბინიდან (გორშეჩნი ქ. № 14) კვირას, 2 ნოემბერს კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე (2834—1—1)

ღრმად დამწუხრებული შვილები: ირაკლი, ელენე, გიორგი, შალვა, და ოლღა კობალაძისა, სიძეები ივანე კობალაძე და ილარიონ უშვერიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს 1 ნოემბერს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დილის 10 საათზე დანიშნულია წირვა და პანაშვიდი

**ლავრენტი ლევანის ძე მგელაძის**

სულის მოსახსენებლათ. (2835—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე კონსტანტინე, შვილები: კალის ტრატე, დემნა, ლეო და ნინა და რძალი ელენე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას 2 ნოემბერს დილის 10 საათზე გარდახდილ იქნება საბურთალოს წმ. გიორგის ეკლესიაში ნახევარი წლის თავის წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ

**ოლღა ფარნაოზის ასული შენგელაიასი.**

(2838—1—1)

ბიძაშვილები პავლე და ნოე ცქიტიშვილები, ამხ. ილიკო და ამვროსი ჯაფარიძეები და ვალიკო მურუსიძე აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს, რომ კვირას, 2 ნოემბერს დანიშნულია წლის თავის წირვა და პანაშვიდი საკუთარ სასაფლაოზე სოფ. შროშაში ტრაგიკულათ დაღუპულ სომხებთან შულავერის ბრძოლაში

**იაშა ალექსანდრეს ძე ცქიტიშვილის**

სულის მოსახსენებლათ. (2836—1—1)

ბეჭდითი საქმის მუშათა პროფეს. კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს კავშირის წევრებს და ამხანაგებს გამგეობის ყოფილ თავმჯდომარის და დაუღალავ მოღვაწის მუშათა პროფ. კავშირებისას ამხანაგ

**ვასილ ივანეს ძე ივანოვის**

უდროოდ გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 29 ოქტომბერს, დილის 7 ნახ. ს. მიცვალებულის გამოსვენება მოხდება თავის ბინიდან (დამფუძნებელი კრების ქუჩა, № 7, შენობა მთავარი შტაბისა) კვირას, 2 ნოემბერს, დილის 9 ს. ალექსანდრე ნეველის ეკლესიაზე, დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე. (6—3—2)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ვასო იოსების ძე არეშიძე, და ნინა, ძმები: ლევანი და იოსები გაბუნიები და მეგობარი მისი გიორგი და ანიჩკა ცოცქიშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს პირველის ცოლი, მეორეთა და უკანასკნელის მეგობრის

**ოლღა დავითის ასული გაბუნია-არეშიძის**

უდროოდ დაკარგვას. პანაშვიდი დღეს და ხვალ საღამოს 6 საათზე, გამოსვენება კვირას, 2 ნოემბერს, დილის 10 საათზე, (ჭავჭავაძის ქუჩა თიანეთის შესახვევი, № 6) დასაფლავება წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (2843—2—1)

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ვასო იოსების ძე არეშიძე აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ, მეგობრებს და ამხანაგებს მისი ძვირფასი და დაუვიწყარი მეუღლის

**ოლღა დავითის ასულის გაბუნია-არეშიძის**

უდროვოთ გარდაცვალებას. პანაშვიდი პარასკევს, 31 ოქტომბერს და შაბათს 1 ნოემბერს საღამოს 6 ს. გამოსვენება კვირას, 2 ნოემბერს, დილის 10 ს. (ჭავჭავაძის ქუჩის ბოლოს, თიანეთის ქ. № 6) დასაფლავება წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2843—2—1)

ქალაქთა კავშირის მაღაზიის თანამშრომლები აუწყებენ ნაცნობებს, მეგობრებს და ამხანაგებს უდროვოთ დაკარგვას მათივე თანამშრომლის ძვირფას

**ოლღა დავითის ასულის გაბუნია-არეშიძისა**

პანაშვიდი პარასკევს და შაბათს საღამოს 6 საათზე (ჭავჭავაძის ქუჩის ბოლო, თიანეთის შესახვ., № 6). გამოსვენება კვირას, 2 ნოემბერს, დილის 10 საათზე, წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2844—2—1)

კვირას, 2 ნოემბერს დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი

**ლევან გიორგის ძის წერეთლის**

და ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი ძვირფასის

**ეკატერინე კონსტანტინეს ასულის ნიკოლაძის**

სულთა მოსახსენებლად, რასაც ნათესავთ და ნაცნობთ აუწყებენ ირაკლი გიორგის ძე წერეთელი, ელენე გიორგის ასული წერეთელი—დემოლონისა, ანასტასია მიხეილის ასული წერეთლისა, ანასტასია და ეკატერინე იაკობის ასულნი ნიკოლაძეები და ეფროსინე იაკობის ასული ჭიჭინაძისა შვილებითურთ. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, ხოლო პანაშვიდი 11 ნახ. ს. (2837—1—1)

## ეკონომიური წვეთები

სასურსათო საკითხი, მრეწველობა, საწარმოვო ძალების განვითარება, ვალიუტის განმტკიცება, ჩვენი ფინანსები, მონოპოლია, დევალვაცია და სხვა ამგვარი ტერმინებით, მეთაურებითა და ფელეტონებით გადაჭრელებულია მთელი ჩვენი პრესა. ყველა, განურჩევლათ პოლიტიკური მიმართულებისა, თვით ჩვენი უალრესი „იდეალისტები“, ანტიმარქსისტები აშკარათ გრძნობენ, რომ „პირველ ყოვლისა იყო სიტყვა“ და სიტყვა იგი არის ეკონომიკა. ცხადზე უცხადესია, რომ ჩვენი ქვეყნის ყოველგვარ კრიზისს, საერთაშორისო გართულებაა იგი, თუ შინაური მდგომარეობა, უმთავრესი მიზეზი და დასაბამი აქვს ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობაში. გადასჭერით ჩვენი ეკონომიური საკითხი, გააჯანსაღეთ რესპუბლიკის ორგანიზმი ეკონომიურათ და თითქმის ყველა ჩვენი ქვეყნის საჭირბოროტო კითხვები თითქმის სავსებით გადაიჭრება. ეკონომიური საკითხი—ეს ის ღერძია, რომლის ირგვლივ ტრიალებს ყველა დანარჩენი წყეული კითხვები. ამას ყველა გრძნობს, ეს ყველას ესმის, და რა გასაკვირველია, რომ დიდი და პატარა მწერალი, სპეციალისტი და დილეტანტი, მარქსისტი და იდეალისტი, ყველა ამ კითხვას უტრიალებს და თავის რეცეპტებს აწვდის ქვეყანას. ზოგი ფიქრობს, რომ ვაჭრებს, ანუ თანადროულათ რომ ვთქვათ, სპეკულიანტებს მიეცეს თავისუფლება და ჩვენს ბედს ძაღლი ვერ დაჰყეფს. მეორენი ფიქრობენ, რომ ყველაფერი, თვით საწვრილმალო ვაჭრობაც კი სახელმწიფოს ხელში უნდა გადავიდეს და აი მაშინ საქმე გაიჩარხებაო. ზოგიც კიდევ წინადადებას იძლევა იმერულ ქამანდებში გაბლართონ სიტის ბანკირები და მოხერხებულათ და სარფიან პირობებში აილონ სესხათ რამდენიმე მილიარდი გირვანქა სტერლინგი. ერთი სიტყვით ეკონომიური კითხვის გადასაჭრელი დიდი პროექტები და რადიკალური რეცეპტები საკმარისზე მეტია და რაღა საჭიროა ახალის შეთხზვა. რა მხრითაც არ უნდა მიუდგეთ ამ ბედკრული კითხვის მიზეზების გამორკვევას, უთუოთ ერთ წერტილში უნდა მიხვიდეთ, სახელდობრ უნდა ალიაროთ, რომ კრიზისის უმთავრესი მიზეზია საერთოთ მსოფლიოს მეურნეობაში წონასწორობის დარღვევა. საერთაშორისო ომმა და მის მიერ გამოწვეულმა კატაკლიზმებმა გაანადგურეს და შთანთქეს საუკუნოებით დაგროვილი სიმდიდრე. გიჟურ მოხმარებას ვერ აუბა ფეხი დასუსტებულმა წარმოებამ. გამანადგურებელმა მოხმარებამ ერთპაშათ სძლია წარმოებას, მათ შორის წონასწორობა დაირღვა და აქედან წარმოიშვა რევოლიუცია, ფინანსებში, ფასებში და სხვა. ნივთიერათ, მატერიალურათ გაღატაკდა ქვეყანა და, რასაკვირველია, ამ ნივთიერ ღირებულებათა გამომხატველმა ფუნქციამ, მისმა ფულურმა სახემაც ცვლილება განიცადა. ნივთიერ გაღატაკების მიერ გამოწვეული შედეგების შესასუსტებლათ, იძულებული ხდებიან ქაღალდის ფულის მოჭრას მოუმატონ. მაგრამ ეს ყველასათვის ადვილათ გასაგები მიზეზის გამო, მიზანს ვერ აღწევს. ეს პროცესი მოგვაგონებს იმ ველურის ამბავს, რომელიც თავგამოდებით მისდევს დასაჭერათ თავის საკუთარ ჩრდილს, მაგრამ ამაოთ. რასაკვირველია, ძლიერ საჭიროა საღი და გონივრული ფინანსიური პოლიტიკა, მაგრამ საეჭვოა, რომ კითხვის ძირიანათ გადაჭრა შეიძლებოდეს სხვადასხვა ფინანსიური კომბინაციებით. უნიადაგო ოცნებაა, თუ ვისმეს ჰგონია, რომ გენიოს ფინანსისტსა და ეკონომისტს შეუძლია თავის პოლიტიკით საჩქაროთ გადაჭრას დღევანდელი საჭირ ბოროტო კითხვა. ეს მსოფლიო ეკონომიური ორგანიზმის ავათმყოფობაა და ეს ამ ორგანიზმმა უნდა თვითონ გადაიტანოს, მოერიოს სენს. აქ გამოცდილ ექიმს მხოლოდ ხელის შეწყობა თუ შეუძლია.

ჩვენ არ ვფიქრობთ მრავალ სხვადასხვა გვარ პროექტებს კიდევ ერთი დავსძინოთ ამ წერილში. აქ გვინდა მხოლოდ ერთს, პირველის შეხედვით წვრილმანს, მხოლოთ ნამდვილათ კი მეტათ მნიშვნელოვან გარემოებას, მივაქციოთ ყურადღება. უდავო დებულებაა, რომ კრიზისის უმთავრესი მიზეზია ქვეყნის მატერიალური გაღატაკება, ესე იგი, ის გარემოება, რომ მეტი იხმარება, ვიდრე იქმნება. მაშ ამ ორ პროცესთა შორის წონასწორობის აღდგენა გადასჭრის საკითხს; ამისთვის კი საჭიროა გაძლიერდეს რაც შეიძლება შრომის ნაყოფიერება და სადაც ეს სრულიად აუცილებელი არაა, შემცირდეს მოხმარება. ჩვენი მდგომარეობა საგრძნობლათ სჯობია ყოფილ რუსეთის დანარჩენ ადგილებს. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ შედარებით „ჩვენისთანა ბედნიერი აღარ არის ყოფილ რუსეთში მეორე ერი“. მაგრამ ყველას, ვინც კი ერთი თვალის მოკვრით შეადარებს ჩვენსა და მათ ცხოვრებას, ერთ გარემოებას აღნიშნავს. ჩვენში მომჭირნეობას ადგილი არ აქვს. საერო სიმდიდრე ნიავდება და გულგრილათ ქარწყლდება. იმ რედაქციის ოთახში, სადაც ეს წერილი იწერება, წუხანდელი სხდომის შემდეგ კანკელი გაჩაღებული დარჩენილა. ის მხოლოდ ამ დილას დავაქრეთ. წუხელის განიავდა და უაზროთ დაიწვა ამ ოთახში ეროვნული სიმდიდრის პაწია ნაწილი. თვით ეს წერილი ძველებური ადათის თანახმათ ქაღალდის მხოლოდ ერთ გვერდზე იწერება, მართალია, ეს ასოთამწყობისთვის მოხერხებულია, მაგრამ ეს დღევანდელ პირობებში სახალხო სიმდიდრის მიუტოვებელი ფლანგვაა. თქვენ ხშირათ თფილისის ქუჩებს შუა დღისას შეხვდებით გაჩაღებულს (განსაკუთრებით კვირა უქმე დღე). მაღაზიის პატრონს რომ ჰკითხოთ, რათ სწვავს ის დღისით ელექტრონს, ის დაცინვის კილოთი გიპასუხებს—აბა რა შენი ხარჯია, ელექტრონი „უსჩეტჩიკოთა“ მაქვსო. ხოლო, აქ რომ საერო ქონება იწვის, და იწვის სრულიად უაზროთ, ამას ის რას აქნევს. მისი მოქალაქობრივი შეგნება ასე მაღლა ვერ მიდის. განა სჯერა ოჯახის დიასახლისს, რომ ის ერის წინაშე დამნაშავეა, როდესაც ზედმეტ სურსათს ხარჯავს სადილათ და მონარჩენს ნასადილევს ძაღლებს გადაუყრის ან ნაგვის ყუთში გადაღვრის? მას რომ უთხრა, რომ ის ჩვენი ფულის ფასს სცემს, კრიზისს აძლიერებს და საერო ქონებას ფლანგავს, უთუოთ გაშტერებით შეგეკითხებათ: სად ჩემი კართოფილი და სად სახელმწიფოს ვალიუტაო? ეს, ასე ვთქვათ, ეკონომიური წვეთებია. მაგრამ, როდესაც ასეთ წვეთებს ფანტავს თითოეული მოქალაქე, დიდი და პატარა, ეს უკვე წვეთებიდან შემდგარი ზღვაა, სახელმწიფო ვერ შეძლებს თითოეულ ოჯახს, თითოეულ მოქალაქეს ცხოვრების რეგლამენტაცია დაუწესოს. აქ საჭიროა თვით მოქალაქეთა მოქალაქეობრივი შეგნება. მომჭირნეობა ჩვენ არ ვიცით, ჩვენ ბედოვლათი ხალხი ვართ. ეს კი უდიდესი უბედურებაა. ყველაფერი ეს თითქოს წვრილმანია, ეს წვეთებია, მაგრამ „წვეთმა კაცი დაახრჩოო“ ნათქვამია, წვეთებს კი ხალხის დახრჩობაც შეუძლია.

## ბოროტი ჯგუფი

მოხეტიალე კომუნიზმმა უკანასკნელი ძალა შემოიკრიბა და ერთხელ კიდევ შეეცადა ჩვენი რესპუბლიკის დამხობას. განდევნილი მუშათა წრეებიდან, პირქუში შეგნებული გლეხებისაგან—ხეტიალებს მთა და ღრეში, აგროვებს და რაზმავს ქვეყნის ნაძირალებს რესპუბლიკის წინააღმდეგ და ლამობს მის სამოქალაქო ომში დაფერფლვას.

არა ერთხელ უცდიათ კომუნისტებს ჩვენი ხალხის აფორიაქება და მისი კლდეზე გადაჩეხა, მარა ამაოთ. ასეთივე ბედი ეწვია ახლაც. მათმა კონტრრევოლიუციონურმა გამოსვლამ ვერც ახლა იპოვა გამოძახილი. ხალხი ზიზღით შეხვდა და აქა იქ წინააღმდეგაც გაილაშქრა. ამ უკანასკნელი გამოსვლის დროს დიდი სიმხნევე და უნარი გამოიჩინა მილიციამ. ბევრ ადგილას წინდაწინვე იქმნა გაგებული მათი ჯოჯოხეთური განძრახვა და მეთაურები წინდაწინ დაატყვევეს. ბევრს სწერენ ჩვენს ადმინისტრაციაზე, გვიწერია ჩვენც, მარა ეს უკანასკნელი მათი სიმხნევე ნათლად ამტკიცებს, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია უკვე გაიმსჭვალა არსებული წყობილების დაცვის საჭიროებით, უკვე იღებს ზომებს ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ემუქრება და ცდილობს რესპუბლიკის დანგრევას. ადმინისტრაციის ამ დონეზე აყვანაში, ეჭვი არაა, დიდი შრომა მიუძღვის ერობებს და ქალაქებს, რომელთა ხელშიაც დღეს ადმინისტრაციაა. უნდა ვიფიქროთ, რომ სულ მოკლე ხანში ჩვენი ადმინისტრაცია სავსებით გაჯანსაღდება და ერთგული დარაჯი გახდება რესპუბლიკის.

მაგრამ ბოლშევიკების მოსყიდული ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს თვით ხალხმა. ჩვენმა ხალხმა ერთხელ და სამუდამოთ უნდა შეიგნოს, რომ ის ვერ მოისვენებს მანამ, სანამ არ შექმნიან ისეთ პირობებს, როცა შეუძლებელი იქნება ამ სისხლით დამთვრალი ბრბოს თარეში. ყველა ნაძირალა დღეს კომუნისტების დროშით დადის. ყველა დეზერტირი, ყაჩაღი, ქურდი, დენიკინის აგენტი მას კომუნისტის სახით ევლინება. ეს გარემოება ავალებს ჩვენს ხალხს ფხიზლათ და მზათ იყოს საჭირო ზომების მიღებისათვის. არ დაერიდოს სიმკაცრეს და მთავრობასთან ერთათ ერთხელ და სამუდამოთ გაჰკვეთოს ეს ბალღამიანი მუწუკი.

კომუნისტების ჯოჯოხეთური გეგმის ავტორთა უმეტესობა უკვე დაიჭირეს და სასამართლოს გადაეცა. ჩვენ მოვითხოვთ მთავრობისაგან, რაც შეიძლება მალე შესდგეს სასამართლო, რომლის მკაცრი და შეუბრალებელი განაჩენი მათ სავსებით დაიმსახურეს. რევოლიუციამ არ იცის სიბრალული და დროა ბოლო მოეღოს იმ მეშჩანურ გულსათუთობას, რომელსაც დღემდე ვიჩენდით. ჩვენ ველით ასეთ სასამართლოს და ველით რაც შეიძლება მალე...

განი.

## შინაური მტერი

ციხე შიგნიდან გატყდებაო. ამ ხალხის სიბრძნეს უნდა ჩაუკვირდეს დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატია. საშიშია მტერი გარედან შემოსული. ჩვენ ვიცით ვინ არის ეს მტერი, საიდან მოდის და რა მოაქვს თან. ვინ იცის ამ მტერს როდის შეეძლება აქეთ მობრუნება პირის და რა პირიც ექნება მას. მხოლოდ მტერი სახლში უფრო საშიშია. არ იცი ვინ არის იგი. პირმოთნე, ფლიდი, თავჩაკიდული შინაური მტერი შემზარავი ძალლია. არ იცი როდის გიკბენს, ნდობით კი ვერ ენდობი.

რევოლიუცია ყოფილ რუსეთის ნაწილებში დამარცხდა. რევოლიუციის მონაპოვარი გააუქმა, როგორც დენიკინის შავ-რაზმელებმა, ისე ლენინის წითელ-რაზმელებმა რომლებმაც მხოლოთ წითელი პირ-ბადე წაიფარეს საზიზღარი სახის დასაფარავად. საქართველომ კი შეირჩინა რევოლიუციის მონაპოვარი, ინახავს მას. საქართველოში დემოკრატია არის საფუძველი და სულის ჩამდგმელი რესპუბლიკის შენებაში.

დემოკრატია საქართველოსი აღიარებს, რომ ჯერ არ დამდგა ჟამი სოციალიზმის განსახორციელებლათ. ჩვენ მხოლოდ გზას ვიკაფავთ მისკენ. ბურჟუაზიული, კაპიტალისტური წესწყობილების გაუქმება არ მოხდება დეკრეტებით, რა გინდ მჭერმეტყველი იქნეს ისინი. ცხოვრება, ცოცხალი ძალების ურთიერთობა ვერ გარდაიქმნება დეკრეტებით, დეკრეტი მხოლოთ ჩამოაყალიბებს მას, რაც ცხოვრებაში უკვე მოხდა. ეს საანბანო ჭეშმარიტება არის ყველასათვის, ვისაც კი სურს კეთილსინდისიერად ანგარიში გაუწიოს ცხოვრებას.

მაგრამ რევოლიუციამ ძირიანათ შესცვალა კლასთა დამოკიდებულება. ომიანობამ და მის შედეგმა რევოლიუციამ

# დღეს

ამერიკის პრეზიდენტად რესპუბლიკანურმა პარტიამ სენატორ პოიდექსტერის კანდიდატურა წამოაყენა.

შვეიცარიის ეროვნულ საბჭოს წევრებში სოციალისტები 40 პროცენტი იქნებიან.

გერმანელები რიგაზე შეტევას განაგრძობენ.

ელზასში გერმანოფილური დემონსტრაციები ხდება.

ურაგვაის მთავრობამ საზავო ხელშეკრულება დაადასტურა.

პეტროგრადის ფრონტზე წითელი ჯარი იმარჯვებს.

სხვა ფრონტებზე მედგარი ბრძოლებია.

უკრაინაში დენიკინის წინააღმდეგ აჯანყება იზრდება. ქალაქები: ლუბანი, კრემენჩუგი და კობელიაკი აჯანყებულების ხელშია.

---

ნათელ ჰყო ის, რომ დემოკრატია არის ძლიერი ძალა. დემოკრატიამ დიდი ნაბიჯი წარდგა წინ, რათა მოეშოროს ის უღელი, რომელიც მას დაედო კაპიტალისტური წეს-წყობილებაში. შეიცვალა ურთიერთობა, დამოკიდებულება და დღეს ჩვენ ქვეყანაში ცხოვრების მსვლელობის სათავეში დემოკრატია სდგას. ბურჟუაზია გადაყენებული არის პოლიტიკურ ისპარეზიდან. ბურჟუაზია ძლიერია, ძალამოსილია, რომ ამას დაემორჩილოს და ასე ადვილათ არ გასცემს თავს. მთელ ევროპაში, განსაკუთრებით რუსეთში სასტიკი ბრძოლა არის გაჩაღებული დემოკრატიისა და ბურჟუაზიის შორის. ბრძოლა სასიკვდილოა მებრძოლთათვის, რომელიმე მათგანი უნდა დამარცხდეს. ჩვენში ამ ბრძოლას არა აქვს ისეთი ხასიათი, როგორც რუსეთში. ჩვენში ბრძოლა მალულია. საქართველოს დემოკრატიამ მიწისმფლობელნი, თავად-აზნაურობა შებოჭა და ძალის იარაღი ჩამოართვა. ბურჟუაზია შებოჭილი არის. სახელმწიფოს უზენაესი ზედამხედველობაა ვაჭრობა-მრეწველობაზე, სახელმწიფო მონოპოლიები ფრთას უკვეცს ბურჟუაზიის ფარფაშობას. შესაძლებელია თუ არა მიიღოს ბურჟუაზიამ დემოკრატია? ყოვლად შეუძლებელია. შესაძლებელია კაპიტალიზმა—როგორც საზოგადოებრივი კლასის წარმომადგენელმა მიიღოს დემოკრატია და დაეთანხმოს მის მართვა გამგეობას? ყოვლად შეუძლებელია. მხოლოდ გარედან თუ ჩაუკვირდებით, ბურჟუაზია ლებულობს დემოკრატიას, ურიგდება მას, ცდილობს თანამშრომლობას მასთან. გულწრფელია ამ მოქმედებაში ბურჟუაზია? არასოდეს და ათასჯერ არასოდეს. დემოკრატია თავისი მისწრაფებით, თავისი შემეცნებით ძირიანათ ეწინააღმდეგება ბურჟუაზიის ტრფიალებას. დემოკრატიის გაბატონება და გამეფება არის კაპიტალისტური წეს-წყობილებაში არსებული ეკონომიური მონობისაგან განთავისუფლება. დემოკრატიას ვერ შეახავებთ არისტოკრატიასთან. დემოკრატიული უფლება აუქმებს ბურჟუაზიული წეს წყობილების უფლებას და შექმნის თავისას. მიუხედავათ ბურჟუაზიის და დემოკრატიის ინტერესების წინააღმდეგობისა ისინი ჩვენ დემოკრატიულ რესპუბლიკაში თითქოს კეთილ-სინდისიერათ ეწევიან მუშაობას. აქ თვალთმაქცობა არის, მეტი არაფერი. ჩვენი ბურჟუაზია არის მტერი ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკისა. დასამტკიცებელი საბუთები? რამდენიც გნებავთ. ჩვენი ქვეყანა დიდ ეკონომიურ გასაჭირს განიცდის. მშიერი, ტიტველი მშრომელი ხალხი ძლივს თავს აღწევს ცხოვრების ჰაპან წყვეტას. ახლად მოვლინებულ, ჯადოსან ეკონომისტებს რომ ჰკითხოთ, ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენ ეკონომიური გეგმა არა გვაქვს. მართლა, ამ პატივცემულ პირებს აქვს გეგმაც და თილისმაც, რომელიც ჩვენ ქვეყანას სამოთხეთ აქცევს, მაგრამ ასე ნაღდათ თავის წამალს სახელმწიფოს ვერ მიაწვდიან. მამულისადმი უზენაესი სიყვარული აიძულებთ მათ ეს ძვირფასი სასწაულთ მომქმედი საშუალება არ გამოაჩინონ.

ომიანობამ დაანგრია უფრო მძლავრი, მოხუცი და განათლებული ქვეყნები, ვიდრე ჩვენია. ამ ანბანებს არ შეუდგებით. ჩვენი შინაური მტრები ცდილობენ ლახვარი დასცენ უფრო მძიმეთ დაავათმყოფებულ ნაწილებს. გამოდიან თავისი დარბაზებიდან და ნელ ნელა ძირს უთხრიან ჩვენ ფულებს. ხელში აქვთ მცირეოდენი უცხოელი ვალიუტა, ათამაშებენ მას და სცემენ ფასს ჩვენი ფულისას. თუ თვე ნახევრის წინ ინგლისელების გირვანქას 300 მ. შეიძენდით, დღეს უნდა გადაიხადოთ 750 მ., ე. ი. ჩვენი მანეთის ფასი ორჯერ შემცირდა, ანუ, თუ ორი თვის წინათ ნივთი ღირდა მანეთი, ეხლა უნდა მისცეთ ორი მანეთი და მეტი.

შედეგი ამისა: უკიდურესი ცხოვრების გაძვირება, ხალხის უკმაყოფილების ზრდა, რყევა, ცხოვრების აწეწ-დაწეწვა. დასკვნა: აი, დახეთ, დემოკრატიამ რა შექნა, რა უღელი დაადო მშრომელს. წყნარათ, საჯაროთ ჩვენ ქვეყანაში, დემოკრატიულ ქვეყანაში „ჩვენი მოქალაქენი“ ანგრევენ არსებულ ცხოვრების წესს, ანგრევენ რესპუბლიკას და მოელიან: მოვა ვინმე და ამ ნანგრევებზე ააშენებენ ახალს სახელმწიფოს.

იგივენი გადიან ბათუმში და მოაწყობენ კარგ საქმეს: ბათუმში აღარ ღებულობენ ქართულ ფულებს*). შინ ამას ვერ ჩაიდენენ, ბოროტება აშკარა იქნებოდა. ბათუმი კი „საზღვარ“ გარეთ არის. შედეგი: საქართველოს მოქალაქე ბათუმში ვერაფერს ვერ შეიძენს თავისი ფულებით, ვერ შემოიტანს საქონელს, ვერ გაუადვილებს ცხოვრებას. შედეგი ამისა: ხალხის რყევა. სახელმწიფოს აწიოკება. მოვა ვინმე სხვა და ახალ სახელმწიფოს ააგებენ. იყო და ტრიალებ და კერენკები. დიდი ვაჭრობა იყო. შეჩერდა ვაჭრობა და მიმალეს. უცბათ ამოჩნდა მრავალი მილიონი კერენკებისა დამალული, მიმალული ნიშნები გამოიტანეს გარეთ და მოითხოვეს მისი გადახურდავება ქართულ ფულებზე. რა მოხდა? ქართული ფული დასცეს და უცბათ ასეთი სურვილი მისი შეძენისა. გამოტანილი კერენკები რომ დახურდავებულიყო ჩვენ სულ გამოგვეცლებოდა ჩვენი ნიშნები და შემდეგ რას უზამდენ ამ ამ კერენკებს. სახელმწიფოს რა უნდა ექნა იმ ნიშნებისათვის, რომელსაც ასე უხვათ შეელია ისინი, ვინც აქამდე მას მალავდა.

გამოიტანეს დიდ ძალი დონის ფულები. რისთვის, ვისთვის არის ეს ნიშნები საჭირო? და რისთვის არის საჭირო? რა მოსაზრება ჰქონდა მის აქ შემოტანას და მათი ქართულ ფულებათ ქცევა. აზრი ერთი იყო: ჩვენი ფულების ტრიალის დანგრევა, აშლა. ვის უწყობს ასეთი საქციელი ხელს? დემოკრატიას საქართველოსას? არა, აზრი ცხადია: დაინგრეს ჩვენი ფულების ტრიალი, რათა იქნეს საფუძველი იმისა, რომ საქართველოს რესპუბლიკის არსებობას არა აქვს ეკონომიური ნიადაგი. ვისთვის არის ეს სასარგებლო? იმათთვის, ვინც მოელის ახალ ძალას, რომელიც ახალ სახელმწიფოს ააგებს.

საქართველოს რესპუბლიკა იცავს თავის ოქროს—ნედლ მასალას. მონოპოლიების ძალით ცდილობს ხალხის ცხოვრების გასაადვილებლათ შეინარჩუნოს. გამოდიან მოქალაქენი თავს იფარავენ სხვადასხვა პირების კალთაში და „უფლებებზედ“ ღაღადებენ. ე. ი. მოიტანენ არა არსებულ უფლებას, რათა ხალხი გაჰყვლიფონ, განძი გამოართვან და მერმეთ შიმშილობით და სიტიტვლით ტანჯული ხალხი მოთმინებიდან გამოიყვანონ. შედეგი: დაინგრევა რესპუბლიკა, მოვა ახალი ბატონი და ააგებს ახალს სახელმწიფოს.

ვინ არის ეს ხალხის მოამაგე? ბურჟუაზია ჩვენი და უცხოელი. ისინი ცდილობენ ეკონომიური ნიადაგი ჩვენი არსებობისა შეარყიონ, ხალხი ააჯანყონ და გაუადვილონ „დაპყრობა“ საქართველოს დემოკრატიისა შავი რაზმის წინამორბედს.

ისინი გაიყურებიან იქით; შავი რაზმის, რეაქციის ბუდის შეყურებენ, ვინაიდან კარგათ იციან, რომ თუ გაიმარჯვებს რეაქცია, აღადგენს ბურჟუაზიას, დაუბრუნებს მიწას ძველ მესაკუთრეს, მოსპობს მუშათა ორგანიზაციებს, აღადგენს კაპიტალისტთა ბატონობას.

ამ ნეტარებას ისინი ეტრფიალებიან. მაგრამ მალულად, ჩუმად, ვინაიდან პირდაპირ ბრძოლა მათ არ შეუძლიათ.

ბურჟუაზია, კაპიტალისტი მტერი დემოკრატიისა, მიისწრაფის რეაქციისაკენ, დამხობილი წარსულის აღდგენისაკენ. რეაქციიდან მოელიან ნეტარებას და ხსნას. შინაური მტერი ძლიერია. დარაჯი არის საჭირო. დარაჯი მამაცი, დარაჯი ძლევა მოსილი, რომელსაც არ შეეშინდება აიღოს ფარ ხმალი და დასცეს მტერს.

მზათ არის დარაჯი? არ დაიდგა ჟამი თავდაცვისა? ს. ავალიანი.

## უკანასკნელი ცნობები

რკინის გზის ლიანდაგის აყრა.

30 ოქტომბერს შუაღამისას 252 ვერსზე ქვანსა და კავთისხევს შუა ბოროტ გამზრახველებმა აჰყარეს რკ. გზ. ლიანდაგი. № 1 მატარებლის ორთქლმავალი და საბარგო ვაგონი ერთიანათ დაიმტვრა. 3 ვაგონი რელსებიდან გადავარდა. მძიმედ დაშავდა მემანქანის თანაშემწე, რომელიც უკვე გარდაიცვალა. დაჭრილია აგრეთვე მემანქანე. სროლის დროს დაიჭრა ერთი მგზავრი. ზოგნი ცოტად დაშავდნენ. მალე მივიდა ჯავშნოსანი. გზა გაფუჭებულია 30 საჟენზე. ბოროტგამზრახველთა დასაჭერათ ზომები მიღებული.

*) უკანასკნელი ცნობების თანახმათ ეს მდგომარეობა საგრძნობლათ შეცვლილა ჩვენი ფულის სასარგებლოთ. რედაქცია.

### მთიელთა აჯანყების გარშემო.

თფილისიდან იტყობინებიან, რომ მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ინახულეს ბრიტანეთის კომისარი ოლივერ უორდროპი. მას ესაუბრეს ინგლისელ აფიცრის როლანდსონის მოქმედების შესახებ, რომელიც მოხალისეთა სასარგებლოთ აგიტაციას ეწევა. უორდროპმა გამოსთქვა მწუხარება პოლკოვნიკ როლანდსონის უტაქტო მოქმედების შესახებ. მე როგორც ვიცი,—სთქვა უორდროპმა,—როლანდსონი მეთაური არ არის მისიის, არამედ ის არის ერთი წევრთაგანი მისიისა. უორდროპმა აღუთქვა დელეგაციას, რომ ამ ამბავს შეატყობინებს თავის მთავრობას და აგრეთვე ადგილობრივ პრესაში ის ოფიციალურათ გამოსთქვამს თავის აზრს ამ საგნის შესახებ.

„გოლოს როსია“ სისტემატიურათ აავსებს ცნობებს, რომ მთიელთა აჯანყების ლიკვიდაცია მოხდაო. ეს არ შეეფერება სიმართლეს. მთიელები არამც თუ დელეგატებს უგზავნიან მოხალისეებს, პირიქით, არც კი მიიღეს უკანასკნელთა დელეგატები. დაღესტანი, საჩეჩნეთი, მთიანი ინგუშეთი არ სცნობს დენიკინის ძალა უფლებას. ამ რაიონებში დენიკინის ხელშია მხოლოდ რკინის გზები და ქალაქები. პარტიზანული რაზმები მთიელებისა მოქმედებენ მდ. თერგამდე. დაღესტნიდან ჩამოსული მთიელთა წარმომადგენლები ახასიათებენ მთიელთა მოძრაობას, როგორც ნაციონალურს, ბოლშევიკებს არავითარი გასავალი არ აქვთ ხალხში და ისინი იძულებულ იყვნენ დაეტოვებიათ მთა. ამ დღეებში პეტროვსკიდან ჩამოსულ პირის გადმოცემით მთიელებმა აჰყარეს რკინის გზის ლიანდაგი პეტროვსკთან. პეტროვსკიდან როსტოვამდე მატარებლების მიმოსვლა არ სწარმოებს. მოხალისეთა სარდლობამ სთხოვა გენ. პოკროვსკის—ასტრახანის ჯარების უფროსს,—მიაშველოს ჯარები დაღესტნელების დასამორჩილებლათ. („აზ.“)

## რა ალაპარაკებთ?

ნაციონალისტების ბანაკში დიდი ხმაურობაა ერეკლე მეფის შესახებ. „პატრიოტები“ ყველა ჯურისა და ფერის დარაზმენ, ფარხმალი აისხეს, ისე როგორც ეს ნიჟარაძე გაბაშვილებს შეჰფერით და ერთხელ წიხლის ჩასაცხებათ კიდევ ემზადებიან სოციალ დემოკრატიაზე. ჩვენ თურმე „უმეცრებმა“ და სამშობლოს მოღალატეებმა, ქართველი ერი დავლუპეთ ჩვენი მოქმედებით, თურმე ის, რაც „კლდის“ პუბლიცისტებს და დავით ნიჟარაძეს ბრძოლით მოუპოვებიათ, დავასამარეთ და ქართველი ერის წინაშე დანაშაულობა ჩავიდინეთ.

ერთი შეხედვით გაუგებარია ჭკუათმყოფი ადამიანისთვის ეს განგაში, მაგრამ თუ ჩაუკვირდებით, მასში გასაკვირი არაფერია. ჩვენი აზრით მთელი ეს მითქმა მოთქმა ერეკლე მეორის დაცვის სურვილით კი არაა გამოწვეული, არამედ მას უფრო ღრმა შინაარსი და საფუძველი აქვს ეს არის გულის წყრომა დასამარებული წოდების და მისი იდეოლოგების. ეს არის მთელი წლობით დაგროვილი წოდებრივი შხამის გადმონთხევა ხალხზე და იმის წარმომადგენლებზე, რომლებიც მოწოდებული არიან დემოკრატიული სახელმწიფოს შესაქმნელად—ასაშენებლათ. ეს არის სულიერი ჯანყი პრივილეგიებ დაკარგულ წოდებისა.

ერეკლე მეორე და მისი სახელი აქ მხოლოდ გულუბრყვილო მკითხველისათვის თვალის ასახვევი მასალაა და მეტი არაფერი.

მაგრამ გავკადნიერდები და მოვახსენებ „კლდე“-„საქართველო“ და „ობნავლენიე“-ს მწერლებს, რომ ვითომდა ეროვნულ მანტიაში გახვეულები, ისინი ვერავის მოატყუებენ. ჩვენ ვიცით წარსულში მათი მოღვაწეობის ფასი. და რამდენიც უნდა იკვეხონ ბ.ბ. ამირეჯიბებმა არაგვში დაღუპულ სამას თავდადებულ ქართველებზე, რომელთა შორის ალბათ მათი წინაპრებიც იყვნენ, ჩვენ მაინც მოვაგონებთ, რომ იმავე წინაპრებით, რომლებიც გარეშე მტერს, მართალია, ებრძოდენ, შიგნით სახელმწიფოში არა ერთი სამასი და ათასი უბრალო ხალხის შვილები—ყმებათ წოდებულნი, უწამებიათ და სიკვდილი, ბევრით უარესი, ვინემ არაგვში დახრჩობა, მიუყენებიათ.

რომ საქართველოში მონარქისტები კიდევ დარჩნენ, ეს ჩვენ კარგათ ვიცოდით, მაგრამ რომ ისინი ამაზე „ხმამაღლა ფიქრს“ დაიწყებდნენ, ეს კი არ გვეგონა ალბათ მათ საიდგანღაც იმედი მისცემიათ, რადაც მოელიანდათ და ალაპარაკდენ. დამშვიდდით, ბ. ბ., არც ისეა საქმე თქვენ რომ გინდათ და გგონიათ.

სკოლას ერეკლე მეფის სახელი ჰქონდა, მოხსნეს ის და იაკობ გოგებაშვილის სახელი უწოდეს. რა არის აქ შეურაცყოფა ან ერეკლესი, როგორც ისტორიული გმირის, ანუ ქართველი ერისა. ამით ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ სკოლას შესაფერი სახელი ჰქონდეს ქართველი მასწავლებლისა, რომელმაც არა ერთი ათას ქართველ ახალგაზრდობას აუხილა თვალი და ჩაუნერგა გულში გონიერებაც და ნამდვილი სამშობლოს სიყვარულიც, რით უნდა ბავშვების მკვირცხლ და მგრძნობიარე ბუნებას მუდამ მეფის სახელი ედგას თვალ წინ. წავიდა მეფეების დრო და ერეკლეც არ იპყრობს ჩვენს ყურადღებას, როგორც მეფე. ჩვენ მხოლოდ ამას ვშლით. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ყოველ ისტორიულ ეპოქას თავისი გმირები ჰყავს. ერეკლე მეფე ერთი საუკეთესო გმირი იყო თავის დროისა. მაგრამ ნიშნავს განა ეს იმას, რომ ერეკლე მეფე ყოველი დროისათვის გმირად გამოდგება? არა.

სკოლას, ჩვენი შეხედულობით არ უნდა ჰქონდეს ჩვენს დროში არც ერთი მეფის სახელი, მაგრამ ჩვენ ერეკლეს სახელი არ წაგვირთმევია ქუჩისათვის, რომელსაც ეს ჰქვია და ერქმევა. რატომ ამაზედ არ ლაპარაკობთ, ბ.ბ.? დაარქვით კიდევ მეორე ქუჩას, რომელიმე ბაღს ან უბანს.

ჩვენ პატარა კახისთვის პატივის ცემას ნაციონალისტები ვერ გვასწავლიან, მაგრამ ეს შესაფერ ფორმაში უნდა იყოს გამოხატული. ყველაფერს თავისი აზრი და ადგილი აქვს. დღესდღეობით კი საუკეთესო პატივის ცემა ერეკლეს ხსოვნისა ის საქმეა, რომელსაც ჩვენ დემოკრატიულ საქართველოს წარმომადგენლები ვაწარმოებთ. **დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო ევროპის ერებთან ერთად ინტერნაციონალის პირველ რიგში მომქმედი!** აი ჩვენი ლოზუნგი, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით და რომელიც ჩვენი მოწინააღმდეგებისათვის ლახვარია, რადგანაც, ეს მათ უარყოფაზეა აგებული. ბუნებრივია, რომ ეს ვაჟბატონები დავით ნიჟარაძის მეთაურობით წინააღმდეგი იყვნენ ამისი:

შემდეგ უნდა მოგახსენოთ, რომ დანაშაულობათ მიგვაჩნია ანტონ ჩეხოვის ხსოვნის მიწებება ამ საკითხზე და მთელი კვირის განმავლობაში მისი სახელის გაპიაპრუების ცდა. რა შუაშია ანტონ ჩეხოვი, რომლის სახელიც ერთერთ რუსულ სკოლას აქვს მიკუთვნებული. ეს სიყალბე ბ. ბ. ნაციონალისტებს დასჭირდათ ალბათ თავიანთი შოვინისტური ბუნების საკვებათ. ჩემთან ერთად ამ ერთი კვირის განმავლობაში ჩვენი მოწინააღმდეგენი სრულიად შეუფერებლათ სჯიჯგნიან ჩემი მოადგილის და სამოსწავლო განყოფილების გამგის გიორგი კონიევის სახელს. მარტო ის, რომ გვარს რუსული დაბოლოვება აქვს, საკმაოთ დარჩა კაციქამია შოვინისტებისათვის, გამოაცხადონ ის მოღალატეთ, უმეცრათ, მტრათ და სხვათ. მისი მოღალატეობა და მტრობა კი იმაში გამოიხატება, რომ ამ სამი წლის განმავლობაში ასამდე თფილისში არსებული სკოლების ხელმძღვანელია და შესძლო ეს საქმე ყოველი მხრით ამ მოკლე დროის განმავლობაში სამაგალითოდ დაეყენებია. ის იყო და არის არა მარტო უბრალო პედაგოგი, არამედ ამ სკოლების გაეროვნების გზაზე გამომყვანი. ამ ნიადაგზე მან მეტი გააკეთა ჩვენი სახელმწიფოსა და დემოკრატიული სკოლისათვის, ვიდრე ყველა ჩვენს ნაციონალისტებს ერთად მთელ თავის სიცოცხლეში გაუკეთებიათ. რაც შეეხება მის უმეცრებას, ესეც საეჭვოა. მას მხოლოდ უმაღლესი სწავლაცოდნა აქვს მიღებული და 16 წელია რაც ჩუმათ, არა ყვირილით და კვეხნით, პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა საზოგადო მუშაობასთან ერთად.

მართალია, ის არც „საქართველოს“ და არც „კლდის“ თანამშრომელი არ ყოფილა როდისმე, არც დავით ნიჟარაძესავით კამერგერობის ძებნაში გაუტარებია ნახევარი თავის სიცოცხლე, მაგრამ რა ვქნათ, ბ.ბ., ყველა თქვენსავით „მეცნიერები“ ხომ არ იქნებიან. თქვენი ლანძღვა და უარყოფითი მოპყრობა მისდამი მისთვის ღირსებაა მხოლოდ.

დასასრულ ორიოდე სიტყვა პირადათ თავის დასაცავათ. მცხეთაში სვეტიცხოვლობის შემდეგ „საქართველომ“ მომაწერა სიტყვები, რომელიც მე არ მითქვამს. მე იქ ვილაპარაკე მხოლოდ ქართული ეკლესიის თვალსაჩინო როლზე ჩვენს წარსულში. ვუსურვე დღეგრძელობა კათალიკოსს, როგორც თავისუფალ ეკლესიის მოღვაწესა და ხელმძღვანელს. სიტყვაც არ მითქვამს არც უცხოელებთან საუბარზე, რომელიც თითქო თფილისში მქონოდეს იმათთან მცხეთაში წასვლის წინ და არც არავინ უცხოელი მცხეთაში სუფრაზე მაშინ არ ყოფილა, როცა მე ვლაპარაკობდი. ამერიკელები შემდეგ შემოესწრნენ ნადიმსა და ინგლისელები კი თვალითაც არ მინახავს; ესენი ჩემს მერე მისულიყვნენ. ჩემს მორწმუნეობაზე მე არაფერი მითქვამს და არც ვიტყოდი, რადგანაც ეს უბრალო ფარისევლობა იქნებოდა.

მე ამაზე გაზეთში არაფერი მინდოდა მეთქვა, რომ ვინმესთვის შეურაცხყოფა არ მიმეყენებია, მაგრამ დღეს იძულებული ვარ ვსთქვა, რადგანაც „კლდის“ „ძველმა ქართველმა“ ინება თავის წერილში ებრძანებია: .....გუშინ ამერიკელებს და ინგლისელებს ჩოქით და დიდის სასოებით ეფიცებოდნენ სვეტიცხოვლის წინაშე, რომ მათ სწამთ ეკლესიაც და კათალიკოზიც“ ო...

ეს სიცრუეც ალბათ „ძველი ქართველის“ დაკნინების და სულიერი სიღატაკის შედეგია.

ბენია ჩხიკვიშვილი.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

31 ოქტომბერი.

### ბოლშევიკური ცნობები.

**მოსკოვი, ოქტ. 30. ნაუენი, ოქტ. 29.** ამერიკის სენატორმა პოიდექსტერმა პრეზიდენტათ თავისი კანდიდატურა წამოაყენა რესპუბლიკანური პარტიისაგან.

**ლიონი, ოქტ. 29** ბერნიდან იუწყებიან, რომ შვეიცარიის ეროვნულ საბჭოს არჩევნების შემდეგ სოციალისტებმა ადგილი მოიგეს, განსაკუთრებით რადიკალების საზიანოდ საბჭოს წევრებში სოციალისტები 40 პროც. იქნებიან.

**ლიონი, ოქტ. 29** კოპენჰაგენიდან იუწყებიან, რომ გერმანელები რიგაზე შეტევას განაგრძობენ. პროტესტანტების, კათოლიკების და მართმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლებმა გამოუშვეს მოწოდება პროტესტით იმის გამო, რომ გაუმაგრებელ ქალაქს ესვრიან, ბავშვებს და ქალებს ხოცავენ.

**სმოლენსკი, ოქტ. 29.** პარტიულმა კვირამ იმედებს გადააჭარბა. კომუნისტურ პარტიაში 1500 ზე მეტი ჩაეწერა. აქედან 66 პროც. წითელ არმიელები და 30 პროც. ქალები და მუშა ქალები. №-ის არმიის შტაბი, ოქტ. 28. კოლჩაკის ბრძანებით ქალაქებში შემოიღეს იძულებითი შრომა დაჭრილებისა და ავათმყოფებისთვის, და ნაბრძანები აქვთ მოკრიბონ მცხოვრებლებში თეთრეული. ვინც ამ მოვალეობას გაექცევა, როგორც ბოლშევიკებს, საბჭოთა რუსეთში გზავნიან. №-ის არმიის შტაბი, ოქტ. 28. ტომსკში და კრასნოიარსკში ლტოლვილების მოგროვების გამო, საშინელი სიძვირეა. ლტოლვილები შიმშილობენ, ცხოვრებენ უბინაოთ. გავრცელებულია სახადი.

**მოსკოვი. ოქტ. 30.** სამხედრო რადიო ცნობა. გატჩინის მიმართულებით წითელმა ნაწილებმა მტრის იერიშები მოიგერიეს, გატჩინოს ჩრდილო-აღმოსავლეთით 8 ვერსზე რამდენიმე სოფელი დაიჭირეს. ლუგის რაიონში წითელმა ჯარმა სამხრეთით 25 ვერსზე და აღმოსავლეთით 20 ვერსზე რამდენიმე სოფელი დაიჭირა. გდოვის მიმართულებით ჩვენი ჯარი იბრძვის, კიევის და ჩერნიგოვის რაიონში მდგომარეობა არ შეცვლილა. ნოვგოროდ სევერსკის რაიონში შოსტენის ქარხნის სამხრეთ-აღმოსავლეთით ბრძოლაა. დმიტრევსკ-კრომი ნოვოსილის რაიონებში ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს, ხელში იგდო ქონება და მოყავს ტყვეები. კრომთან ბრძოლის დროს ჩვენ მარკოვის პოლკის 3 ბატარეა წამოვიყვანეთ ტყვეთ. ვორონეჟის რაიონში ჩვენმა ჯარმა დონზე გადასავალი ადგილი დაიჭირა და მტერს ავიწროვებს დასავლეთით. ბობროვის რაიონში ქალაქთან მკაცრი ბრძოლაა. ბორისოგლების მიმართულებით ბრძოლაა. ნიჟნაია მედვედიცაზე ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა, ბრძოლით დაიჭირა კეპინსკაია და სკურიშენსკაია და ჩრდილოეთით და დასავლეთით 15—30 ვერსზე სოფლები დაიჭირა. ცარიცინის მიმართულებით ილოვლიას აღმოსავლეთით 12 ვერსზე ჩვენი ჯარი მტერს ავიწროვებს. ურალსკის რაიონში მზვერავები მოქმედებენ. პეტროპავლოვის რაიონში ჩვენ სად. მამლიუტკის მერიდიანზე გამოვედით. იალტოროვის და ტობოლის რაიონში ჩვენი შეტევა კარგად ვითარდება.

**მოსკოვი. ოქტ. 30.** უმანის რაიონში კალიუჟნის რაზმის და მახნოელების ბრძოლაა. პეტლიურას არმია იშლება. ჩვენ მხარეზე გადმოსულთა ცნობით, ოქტ. 13 გალიჩელებსა და პეტლიურას შორის ბრძოლა მოხდა. მეხუთე და მეცამეტე პოლკი შტაბის ნაწილის წინააღმდეგ გამოვიდა. შეტაკება საკომანდო ნაწილებთან ხდება. თეთრგვარდიელთა გაზეთების ცნობით, უკრაინაში დენიკინის წინააღმდეგ აჯანყება იზრდება. აჯანყების ცენტრს წარმოადგენს ქალ. ლუბენი, კრემენჩუგი და კობელიაკი, რომელიც აჯანყებულთა ხელშია.

### ფრანგული ჯარის ცნობები.

ამბობენ, რომ ზემო ელზასში გერმანოფილური დემონსტრაციები მოხდა. ქ. მიულჰაუზენი და კოლმარი ელზასისათვის ავტონომიას მოითხოვს. საფრანგეთის საწინააღმდეგო დემონსტრაციებმა მეტცში საჭიროდ გახადა იქ ფრანგული ჯარის გაგზავნა. ელზას ლორენის გაზეთებს აუკრძალეს დაწვრილებითი ცნობების მოთავსება ამის შესახებ. დააპატიმრეს რამდენიმე ელზას-ლორენის მკვიდრი გერმანელი უცხოეთში გადასასახლებლად.

მაშინ, როდესაც გერმანიის დამოუკიდებელნი დასავლეთის დემოკრატიის და მეორე ინტერნაციონალის ერთგულნი დარჩნენ, ბავარიის დამოუკიდებლებმა გადასწყვიტეს შეუერთდნენ მოსკოვის მესამე ინტერნაციონალს.

პრაგაში ილლუსტრირებულ... ჩეხო-სლოვაკიის ... ყრილობამ ... თავმჯდომარე მასარიკმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მხარი დაუჭირა სოციალიზაციას და ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოილაშქრა და სთქვა, რომ რუსეთის ეკონომიური მეთოდები ჩეხო-სლოვაკიისთვის გამოუსადეგარია.

სიძვირის გამო გერმანულ ავსტრიის მთავრობამ გადასწყვიტა ვაშინგტონის შრომის კონფერენციაზე დელეგატები არ გაგზავნოს.

შაბათს გერმანიისა და პოლონეთის შორის მოლაპარაკება შესწყდა, რადგანაც პოლონეთის წარმომადგენლებმა მოისურვეს პოზნანში ჩამოსულ პილსუდსკის პატივსაცემლად გამართულ დღესასწაულში მონაწილეობა მიიღონ. ფიქრობენ, რომ მოლაპარაკება ამ კვირაში განახლდება.

### ფრანგული ჯარის ცნობები.

უმაღლესმა საბჭომ გუშინ განიხილა კლემანსოს წინადადება იმის შესახებ, რომ ვერსალის უმაღლეს საბჭოს ფოშის თავმჯდომარეობით უნდა მიეცეს უმაღლეს სარდლობის უფლება მოწინააღმდეგეთა ქვეყნებში დაპყრობილ ადგილებში. ეს წინადადება მოკავშირეთა მთავრობებს გადაეცემა განსახილველად.

ურაგვაის მთავრობამ საზავო ხელშეკრულება დაადასტურა.

### მოხალისეთა ცნობები.

სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარ სარდლის შტაბის ოფიციალური ცნობა.

ასტრახანის მიმართულება: ახალი ცნობები არ მოსულა. კამიშინის მიმართულება: არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. ბალაშოვის მიმართულება: მედვედიცასა და ხოპერის შორის წითელმა ჯარმა სკურიშენსკაიასთან შემოგვიტია. ბრძოლა სწარმოებს. სად. № ნოვომელოვატსკიას აღმოსავლეთით ბუზულუკის მარჯვენა ნაპირზე ბრძოლაა. ნოვოხოპერიდან ცნობები არ მოსულა. ვორონეჟის მიმართულება: ბობროვის აღმოსავლეთით მტერმა დაიჭირა (გამოტოვებული და დამახინჯებულია) ბერეზოვკასთან დროგამოშვებითი სროლაა. დამატებითი ცნობებით, ბობროვის დაჭერის დროს ხელში ჩავიგდეთ 30 ტყვიისმფრქვეველი და მრავალი იარაღი. ვორონეჟის დასავლეთით და ჩრდილოეთით ბრძოლაა. ელეცის მიმართულება: დოლგორუკოვ ტროპკოეს ხაზზე ბრძოლაა. ნოვოსილის მიმართულება: ჩვენ საბჭოთა პოლკი დავამარცხეთ, წამოვიყვანეთ 1000 მეტი ტყვე. ორიოლის მიმართულებით მტერი სადგ. დიაჩეს უტევს. ბრძოლა სწარმოებს. ბრიანსკის მიმართულება: დმიტრიევსკის სამხრეთით ბრძოლა ხან ჩვენ და ხან მტრის სასარგებლოთ სწარმოებს. ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა ისევ დაიბრუნა დმიტრიევი... (დამახინჯებულია) ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ცხენოსანმა სოფ. საბაჩევი დაიჭირა და ხელში ჩაიგდო 70 ტყვე. გომელის და ჟიტომირის მიმართულება: არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. ვინნიცის მიმართულება: მზვერავები მოქმედებენ. მოგილევის მიმართულება: მტერი ენერგიულად გვიტევს. ბრაცლოვის ხაზზე მკაცრი ბრძოლა სწარმოებს. ოდესის რაიონი: სიწყნარეა.

## ამხანაგ ჯარისკაცებს

ერ. მოწონელიძეს (ქუთაისი) და ილ. მარგველაშვილს (გორი).

ამხანაგების მონდობილებით გამოგზავნილი თქვენი წერილი მივიღე. პირველი ნახევრის შესახებ, თანხმათ თქვენი დავალებისა, მოველაპარაკე სამხედრო მინისტრს. რაც შეეხება ლექციების და კურსების დაჩქარებით მოწყობას, ამაზე უკვე მუშაობს სამხ. სამინისტროსთან არსებული კულტურული სექცია, რომლის უფროსათ დანიშნულია ამხ. ალ. ღორღოლიანი (გიმნაზიის მასწავლებელი) თქვენ მართალი ხართ, როცა ასეთ დიდმნიშვნელობას აძლევთ კულტურულ მუშაობას. მარა ამ მუშაობამ არამც და არამც არ უნდა შეუშალოს ხელი სამხედრო მაცადინეობას. კულტურულ მუშაობას უნდა მოხმარდეს სამხედრო მაცადინეობაზე გადარჩენილი დრო. და თუ ჩვენი ჯარის კაცებიც ასე მსჯელობენ—ეს მეტად სასიხარულოა. ამხანაგმა ჯარის კაცებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ დღეს ისეთი პირობებია ჩვენი თავისუფლების გარშემო შექმნილი, რომ ჩვენი ჯარების და გვარდიის სიმტკიცეზე, მათ გაწვრთნაზე, და რევოლიუციონურ რკინის დისციპლინაზე დამოკიდებული კულტურული მუშაობის გაშლება არა მარტო ჯარში, არამედ საერთოდ მთელ რესპუბლიკაში. დადგება დრო, და იმედი გვაქვს მალე, როცა პირველი ადგილი დაეთმობა კულტურულ მუშაობას, მარა ამ ჟამად კი, ვიმეორებ, ისეთი მომენტია, როცა ჯარმა ზედმიწევნით უნდა შეი-

...ლოს სამხედრო ტეხნიკა, გაწვრთნას ...გამტკიცდეს რევოლიუციონური დის...ლინით, რომ ყოველ წუთში მზათ ...ს ქვეყნის და თავისუფლების დასაცა... ამისთვის არც დრო უნდა დაიშუ...თ, არც ენერგია დაზოგოთ. გადარჩე...ლი თავისუფალი დრო კი მოახმაროთ ...დასხვა საგნების შესწავლას. ამ მხრივ, ...რწმუნებული ვართ, კულტურული სექ... შესძლებს გაამართლოს ჩვენი იმე...ბი, და როგორც თქვენ, ისე სხვა ...ანაც ჯარის კაცებსაც საშვალება იქ...ათ ახლო მომავალში შეიძინონ სა...რო ცოდნა და მომზადება.

გაბი.

# ახალი ამბები

...აფრანგეთის გემი „სარკახი“ 2 ნო... უკან დაბრუნდება მარსელში.

✦ თფილისში მყოფი 200 გერმანე... ტყვე სამშაბათს 4 ნოემბერს ნეიტ...ლურ გემზე სამშობლოში ბრუნდე...ან

✦ გერმანელთა საავათმყოფო თფი...ლისში დაიხურა. 2 გერმანელი ექიმი ...ილისში რჩება.

✦ თფილისში გაიხსნა უმაღლესი ...დაგოგიური კურსები, რომელსაც ...მძღვანელობს კუტანი.

✦ ახალი წიგნი. გამოვიდა გასასყი...თ თფილისის სახელმწიფო უნივერსი...ტის პროფესორ ივ. ჯავახიშვილის ...გნი: „საქართველოს საზღვრები“. ქ. ...წ. გ. გამავრცელებელ საზოგადოე...ს გამოცემა. წიგნი დაბეჭდილია ლა...ზათ, დიდი ფორმატის, კარგ ქაღალდზე ... ღირს 15 მან. ამ დღეებში გამოვა ...ავე ავტორის მიერ შედგენილი საქარ...ველოს რუკა, რომელიც ჩართული ...ნდა ყოფილიყო აღნიშნულ წიგნში.

✦ არითმეტიკული სახელმძღვანე...ლოებისათვის. 28 ოქტომბერს, თბი...ლისის ქალთა მე 3 გიმნაზიის ბინაზე, ...სდგა სხდომა მათემატიკური კრებუ...ლების და სახელმძღვანელოების სარე...ნზიო კომისიისა. კომისიამ დაინახა ...ცილებელ საჭიროებად მიწვევა ახალი ...ძალებისა—სპეციალისტებისა, რომელ...ნიც იქნებიან მიწვეულნი შემდეგ სხდო...მაზე. სხდომა არის განზრახული 5 ს ...ნოემბერს, საღამოს 6-ს საათზე, იმავე გიმნაზიის ბინაზე.

✦ სომხეთის მისიის მდივანი ვ. სა...აკიანი სოხუმში სომხეთის კონსულად ...დაინიშნა.

✦ სომხეთის მთავრობამ 8 მილიო... მანეთი გადასდო ყარაბახის მცხოვ...რებთა საჭიროებისათვის.

✦ ქალაქის მუშა მოსამსახურეთა ...ამ. კომიტეტთან არსებული კულტუ...რულ-განმანათლებელი კომისიის ინი...ციატივით კვირას 3 საათზე, (ქალაქის ...თეატრ № 2) შესდგება საერთო კრება ...ქალაქის ფუნქციებში მომუშავეთა, რო...მელზედაც მოხსენებას გააკეთებს პრო...ლეტარულ კულტურის შესახებ ალმ. ...ტის მდივანი.

კ რ ე ბ ე ბ ი.

...დღეს, საღამოს 6 საათზე, მეორე რაი...ონის ბიუროს ბინაზე დანიშნულია სა...ქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონ...ში მცხოვრებ ქალთა საზოგადო კრება.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშ...ნულია ვერის რაიონის სახალხო გვარ...დიის საზოგადო კრება. დასწრება ყვე...ლა გვარდიელთათვის სავალდებულოა.

# აზერბეიჯანში

კომუნისტების გაზეთის დახურვა

...მთავრობის განკარგულებით კომუ...ნისტების გაზეთი „რაბოჩაია პრავდა“ ...დაკეტეს.

არჩევნები ქალაქის საბჭოში.

...წინასწარ გამოანგარიშებით ქვეშევრ...დომობის კანონის გამოცემის გამო ბა...ქოს ქალაქის საბჭოს არჩევნებში 200 ...ათას მცხოვრებთაგან მონაწილეობას ...იღებს არა უმეტეს 60 ათას კაცისა. („ნ. ტრ.“)

კაბინეტის შედგენა.

...ნასიბ-ბეგ უსუბეგოვმა სთხოვა პარლა...მენტის თავმჯდომარეს შეადგინოს კა...ბინეტი მთავარ პარტიების მიერ გამო...მუშავებულ პლატფორმის თანახმათ. მუ...სავატის, იტიხატის და უპარტიოთა ...შორის სრული შეთანხმება მოხდა. შე...საძლებელია კაბინეტში სოციალისტე...ბიც შევიდნენ. იმედია ამ დღეებში მთავ...რობის კრიზისის ლიკვიდაცია მოხდება. („აზ.“)

# სომხეთში

ყაგიზმანის რაიონში.

...ახჩაი-სარიბულახის რაიონის ქურ...დებში დიდი უთანხმოება მოხდა, რო...მელიც სისხლისღვრით დამთავრდა. მო...კლულია 25 კაცი და დაჭრილია 80 დე. ...ყველა დაჭრილები მიიყვანეს ახტინის ...ლტეხილზე, სადაც მივიდა ოსმალე...ს სანაპირო რაზმის უფროსი დახმა...რების აღმოსაჩენად. ქურთები ახჩაის ...რაიონიდან გაიფანტენ („სლ.“).

ხარბორდის დეპეშა ა. ხატისოვს.

...ამერიკის გემ „მარტავაშინგტონ“-...დან გენ. ხარბორდმა სომხეთის მთავ...რობის თავმჯდომარეს ალ. ხატისოვს ...შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა:

...ძვირფასო მინისტრო! ამიერ კავკა...სიიდან წასვლისას არ შემიძლია ერთ... კიდევ არ გადაგიხადოთ მადლობა ...სპატივისცემისთვის, რომელიც თქვენ ...აღმოიჩინეთ თქვენ სატახტო ქალაქში ...ყოფნის დროს. ჩვენ სიამოვნებით ვიმ-გზავრეთ თბილისამდე და სომხეთის ყველა ქალაქში აღფრთოვანებით გვხვდებოდნენ. მე თან მიმაქვს სასიამოვნო მოგონებანი სომხეთის ხალხის შესახებ და ღრმა სიმპატიით გრძნობა იმ ხალხისადმი, რომელმაც თავის სახლ კარი მიატოვა და რომლებზედაც ეხლა თქვენ ზრუნავთ“.

# უცხოეთი

პატარა სახელმწიფოები და ხალხთა ლიგა.

შვეციამ გადასწყვიტა შეუერთდეს ხალხთა ლიგას. დანიის რეიხსტაგი ამ კითხვას გაარჩევს ნოემბერში. ლიხტენშტეინის სამთავრომ დაავალა თავის მთავრობას, მოითხოვოს ამ სამთავროს ხალხთა ლიგაში ჩარიცხვა.

მდგომარეობა ანატოლიაში.

ანატოლიის ამბებმა გამოიწვიეს ფერიდ ფაშის კაბინეტის გადადგომა. ახალი კაბინეტის შედგენა მიენდო ალი რიზა ფაშას. ერზერუმის კონგრესი თავის მოქმედებაში შეზღუდული იყო. ამ კონგრესზე მიღებულ იქმნა რეზოლიუცია სადაც აღნიშნულ იყო ოტომანის იმპერიის მთლიანობის საჭიროება. ერზერუმის კონგრესმა კავშირი დაიჭირა სხვა ვილაეტებთანაც. გადაწყდა ახალი კონგრესის მოწვევა რიგაში. ამავე დროს შეიკრიბა კონგრესი ტრაპეზუნდში. მთავრობა არ აძლევდა დიდ მნიშვნელობას ნაციონალურ მოძრაობას, მაგრამ როდესაც რიგაში შეიკრიბა კონგრესი—მაშინ კი დაფაცურდა ფერიდ-ფაშის მთავრობა. სივასის ვაალს შეატყობინეს არ დაეშო კონგრესი. შინაგან საქმეთა მინისტრმა მთავრობის ყოველივე ნაბიჯები შეატყობინა კონგრესის წევრებს. სივასთან მოუყარეს ჯარს თავი, მოინდომეს კონგრესის გარეკა, მაგრამ ეს სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი, რადგანაც კონგრესის მხარე დაიჭირა ჯარმა. 9 სექტემბერს გამოაქვეყნა კონგრესმა მანიფესტი—სადაც მოღალატეთ იყო დასახული მთავრობა. ფერიდ-ფაშა იძულებულ იყო გადამდგარიყო. („ნ. დ“.).

შრომის კონფერენციის მოწოდება.

საერთაშორისო შრომის კონფედერაციის ადმინისტრატიულმა კომისიამ გამოუშო მანიფესტი მომავალ ვაშინგტონის კონფერენციის შესახებ. მანიფესტში აღნიშნულია, რომ კონფერენციაზე მოწვეულ აქნებიან მთელი ქვეყნების შრომის კონფერენციის წარმომადგენლები. კონფერენცია შეიმუშავებს საერთაშორისო კანონებს, რომელნიც საფუძვლათ დაედება პროლეტარიატის მოთხოვნილებებს. ვაშინგტონის კონფერენცია იქნება ხალხთა ლიგის პირველი მანიფესტაცია და ამიტომ მუშებმა მასში მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ.

კონსტიტუციური გარანტიის აღდგენა საფრანგეთში.

საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის გამო რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამოსცა დეკრეტი საალყო წესების და ცენზურის გაუქმების შესახებ. აღდგენილ იქნება საკონსტიტუციო გარანტიები.

ბუდაპეშტის ევაკუაცია რუმინიის მიერ.

რუმინიის ჯარი ბუდაპეშტს სცლის. დაიწყო ევაკუაცია დუნაის აღმოსავლეთ ადგილების.

რუმინია და მოკავშირეები.

რუმინიის პრესაში დიდი ყურადღებით ეპყრობიან მომავალ რუმინიის კავშირს საფრანგეთ იტალიასთან. გაზეთების აზრით ამ კავშირს უნდა შეუერთდენ პოლონელები, სამხრეთ სლოვაკები, ჩეხო სლოვაკები და ბერძნები.

ლეონ ბურჟუას სიტყვა საფრანგეთის სენატში.

ლეონ ბურჟუამ გააკეთა მოხსენება საფრანგეთის სენატში საზავო ხელშეკრულების შესახებ. ლეონ ბურჟუამ გამოსთქვა ის აზრი, რომ ვერსალის ზავის პირობების რატიფიკაციის შემდეგ, მოკავშირეები არ შესწყვეტენ თავიანთ მეგობრულ დამოკიდებულებას. რატიფიკაციის შემდეგ, მოკავშირეებს მოუხდებათ ახალი ხელშეკრულების დადება, რომელიც დაამყარებს ეკონომიურ და პოლიტიკურ ურთიერთობას მოკავშირეებს შორის.

# მუშათა წერილები

## 50 მილიონი

საქართველოს მუშათა კლასში უკვე დამტკიცებულია ის აზრი, რომ დღევანდელ პირობებში მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება არ შეიძლება მხოლოდ ჯამაგირის გადიდებით—ქაღალდის ფულის სახით. ჩვენი დემოკრატია ღრმად დარწმუნდა იმაში, რომ რამდენადაც გაიზარდა მისი ხელფასი, იმდენად მას ძალა თანდათან დაეკარგა: რასაც იძენდა ის წინედ თავის მცირე ხელფასით, დღეს მის მეათედის შეძენაც აღარ შეუძლია გადიდებული ხელფასით.

მაშინ, როდესაც საგნებზე ფასები ელვის სისწრაფით იზრდება, ამ დროს შრომის ხელფასი მას კუს ნაბიჯით მისდევს უკან. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ის ციფრები, რომელიც გამოაქვეყნა სატარიფო პალატასთან არსებულმა სტატისტიკურმა ბიურომ: 1914 წლიდან დღევანდლამდე საგნების ფასი გაზდილა 77 პროცენტით ხოლო შრომის ხელფასი—22 პროცენტით. მაშასადამე, მუშათა მდგომარეობა 2—3 ჯერ უფრო გაუარესებულია დღეს, ვიდრე 1914 წელს იყო. ეს მდგომარეობა კი ჰქმნის ისეთ აუტანელ პირობებს, რომ სახიფათოდ ხდება მუშათა კლასის არსებობა და, მაშასადამე, თვით ჩვენი რესპუბლიკის განმტკიცება უზრუნველყოფაც.

როგორც ვხედავთ, სპეკულიაციასთან—საგანზე ფასების მომატებასთან—ბრძოლა მხოლოდ ხელფასის მომატებით შესაფერ შედეგს ვერ იძლევა, პირიქით, ხელფასის მომატება იმ სახით, როგორც ეს დღემდის არსებობდა, კიდევ უფრო ხელს უწყობდა სპეკულიაციას.

და ეს მოვლენა სრულიად ბუნებრივია, რადგანაც საგნებზე ფასების დაწევა და მისი შეძენა ხელფასის სიმრავლეზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ საჭიროა თვით საგნების გამრავლება და მისი ერთ სწორ კალაპოტში ჩაყენება.

დღეს კი, როგორც ჩვენში, ისე სხვაგანაც, სურსათის მოწესრიგების საქმე სრულიად აწეწილ-დაწეწილია, სპეკულიაციას სრულიად მოხსნილი აქვს აღვირი და მის გაღრმავებასაც არა აქვს საზღვარი. ეს მდგომარეობა კი ხელფასის ღირებულებას სრულიად სცემს.

ერთის სიტყვით, დღევანდლამდე ხელფასის მომატება სპეკულიაციის ზრდას ვერ დაეწია, და ვერც დაეწევა, და თუ ეს შეჯიბრება დროზე არ იქნა შეჩერებული—ის კრახით დაბოლოვდება, რადგანაც მხოლოდ ხელფასის მომატება ფინანსიურ საკითხს კიდევ უფრო გაართულებს და ეს კი სპეკულიაციას კიდევ უფრო გაათამამებს.

მაშასადამე, საჭიროა სულ ახალი საშუალების გამონახვა, საჭიროა სწორი გზის პოვნა.

და ეს გზა ნაპოვნია: მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება შეიძლება მხოლოთ სასურსათო საკითხის მოწყობით და მისი დანიშნულების სამებრ დროზე მიწოდებით.

სატარიფო პალატა ამის განხორციელებას უკვე შეუდგა: დაარსა სასურსათო ფონდი, რომელშიაც მონაწილეობას იღებს მთავრობა, საზოგადო დაწესებულებანი და კერძო მესაკუთრენი, რომელთაც მათ დაწესებულებაში მომუშავეთა თითო სულზე 1000 მანეთი უნდა შეიტანონ აღნიშნულ ფონდში.

პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია: მთავრობამ გადასდო 50 მილიონი მან. და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სხვებიც მალე გამოეხმაურებიან.

მე ამ ჟამად არ შევეხები იმ საკითხს, თუ რა დროში განხორციელდება ეს დაწყებული საქმე, ან როგორ მოეწყობა შესყიდვა განაწილება.

მე ამ ჟამათ მინდა მივაქციო ყურადღება მტკივნეულ საკითხს, რომლისაკენაც დღეს ყველა მუშის ყურადღებაა მიქცეული: მე მოგახსენებთ მომატების შესახებ.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მხოლოდ მომატება პირობებთან შეუფარდებლად საქმეს ვერა შველის და ხშირად უკუღმა შედეგს იღებს. მაშასადამე, საჭიროა მომატება ხდებოდეს პირობებთან შეფარდებულად.

დღეს ჩვენ მოლოდინში ვართ: საქონელი შესყიდულ იქნება და ის მუშებს გადაეცემა.

მაგრამ კითხვა იბადება: დღევანდელ ხელფასით მუშას ექნება საშუალება ამ საგნების შეძენის?

ამდენ ხანს გაჭირვებაში მყოფ, ჰარაქათ გამოლეულ, დავალიანებულ მუშას დღევანდელ ხელფასით ამ საგნების შეძენა, რა გინდ ის იაფი არ იყოს, ძალიან გაუჭირდება. და თუ მუშა ვერ შესძლებს აღნიშნულ საგნების შეძენას, მაშინ ეს ორგანიზაცია ჰაერში ჩამოეკიდება და გაჰქრება.

ამ ახლად დაწყებულ საქმის პირდაპირი დანიშნულება სპეკულიაციასთან ბრძოლაა: მომხმარებლებისთვის საგნების მიწოდება იაფ ფასებში—ეს ლახვარის ჩასობაა და ნიადაგის გამოცლაა სპეკულიაციისათვის.

მაშასადამე, სატარიფო პალატა მოაწყობს რა იაფ-ფასებში პირველ მოთხოვნილების საგნების მოწოდებას, მან ერთ და იმავე დროს დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს იმასაც, რომ მუშამ შესძლოს ამ საგნების შესყიდვა. ეს პირდაპირი დანიშნულება უნდა იყოს სატარიფო პალატის. ეს კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მუშას ექნება იმოდენა თანხა, რომელიც დასჭირდება ამ საგნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ ხელფასს, რომელსაც ეხლა მუშა იღებს და ყოველდღიურად ხარჯავს, იმ დიდ საგნების შეძენას ვერ მოახმარს, რადგანაც მას ამის შემდეგ შიმშილი მოელის.

ამიტომ, ჩვენის აზრით, დღევანდელი მომატება სრულიად მიზანშეწონილი იქნება და დღეს ხელფასის მომატება უსათუოდ უნდა მოხდეს. ეს ნაბიჯი ლოღიკურად გამომდინარეობს ამ ახლად დაარსებულ ორგანიზაციის არსებობიდან.

მიხ. თამაზაშვილი.

# მუშის სიმღერა

ტანჯვის ბორკილში ლუკმა პურისთვის
ვიხრჩვებით დღისით, ვიხრჩვებით ღამით...
ჩვენ ვინ მოგვაცლის სიყვარულისთვის?
ვინ მოგვასვენებს, თუნდ ერთის წამით?

სხვა ხარობს... ჩვენ კი, მახვილით ხელში,
ან ბრძოლის ველზე ვდგავართ და ვკვდებით,
ანდა, მოხრილნი რკალივით წელში,
ქურასთან ვიწვით, ქურასთან ვდნებით!

თითქო ხელთ ვიგდეთ ძალა, უფლება,
თითქო ჩვენთვისაც გათენდა ბნელი...
მაგრამ სადაა თავისუფლება?..
გულს ისევ სწიწკნის ნაღველი ძველი!

ეი, თქვენ, ვისაც ჩვენი შრომითა
შეგიძენიათ ცხოვრება ტკბილი,
ნუ ხელმძღვანელობთ ქვენა გრძნობითა:
ჩვენსაც ნაშრომში დაგვიდეთ წილი!

თორემ, იცოდეთ, არ არის შველა:
იფეთქებს ნაღმი შურის ძიების
და ნანგრევებში მოჰყვებით ყველა,
ყველას გიწვევათ ბედი ჰიების!

ვ. რუხაძე.

# აზერბეიჯანის პარლამენტში

ვლ. ბაქრაძის სიტყვა, წარმოთქმული ბეჭვდითი სიტყვის თავისუფლების შესახებ.

მოქალაქენო, პარლამენტის წევრნო! მე მგონია, რომ არც ერთი წევრი ამ მაღალი კრებისა არ სდგას იმ თვალთახედვის იარზე, რომ ბეჭვდითი სიტყვის თავისუფლება უნდა იყოს სრული და განუსაზღვრელი.

ყოველ ჩვენთაგანს კარგათ მოეხსენება, რომ სრული და განუსაღვრელი თავისუფლება, იქნება ეს თავისუფლება პიროვნების, ზეპირი თუ ბეჭვდითი სიტყვის, გეგელის სიტყვები რომ ვიხმაროთ, превращается въ свою собственную противоположность, ე. ი. იქცევა თვითნებობათ და ანარქიათ.

ამიტომ თავისუფლება, როგორც პიროვნების, ისე ბეჭვდითი სიტყვის უნდა იყოს, რა თქმა უნდა შემოფარგლული განსაზღვრული ნორმებით, რომელთა დარღვევა უნდა იწვევდეს დამრღვევის მიმართ სათანადო დასჯას.

სამინისტროს წარმოედგინა კანონპროექტი, რომელიც ზღუდავს ბეჭვდითი სიტყვის თავისუფლებას განსაზღვრული ფარგლებით. ჩვენ, რა თქმა უნდა პრინციპიალურად ამ ფარგლების დარღვევას არ მოვითხოვდით მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჩვენ წარმოგვიდგინა კანონ პროექტი რომელიც ფარგლებს კი არ ავლებს ბეჭვდითი სიტყვის თავისუფლებას, არამედ ავიწროებს მას და მის თავისუფალ განვითარებას უმზადებს დაბრკოლებათა მთელ რიგს, რაც დემოკრატიული პრინციპების მიხედვით არ არის სრულიად დასაშვები.

ბეჭდვითი ორგანოს ცხოვრებაში, ბატონებო, ჩვენ უნდა ვარჩევდეთ ორ მომენტს, რომლებიც მთავრობის კანონ-პროექტში, სამწუხაროთ, ერთმანეთთან არეულია და კანონ-პროექტის ავტორები მათ, როგორც სჩანს ერთმანეთიდან ვერ არჩევენ. ერთი მომენტი, როდესაც პერიოდიული ორგანო იწყებს გამოსვლას და აშკარავებს, ასე ვთქვათ, თავის მოღვაწეობას, რაც შეიძლება, რა თქმა უნდა, გახდეს საგნათ ერთგვარი რეგლამენტაციისა და კანტროლის.

მაგრამ არის კიდევ მეორე მომენტი, რომელიც წინ უძღვის ბეჭდვითი ორგანოს გამოსვლას—ეს როდესაც ორგანო ჯერ არ გამოსულა, არამედ აპირებს გამოსვლას. აქ არავითარი შევიწროება და არავითარი რეგლამენტაცია დასაშვები არ არის და არ არის შესაძლებელიც დემოკრატიზმის ელემენტარულ მოთხოვნათა დაურღვევლათ.

საქმე იმაშია, რომ მთავრობის კანონპროექტს, სწორეთ აქ მიაჩნია საჭიროთ ბეჭვდითი სიტყვის შეზღუდვა სასტიკი რეგლამენტაციის საშუალებით. მე გთხოვთ, ბატონებო, მიაქციოთ ყურადღება შემდეგ მუხლებს: 11, 12, 13, 14 (კითხულობს მუხლებს და დაწვრილებით არჩევს).

მე მგონია უნდა დამეთანხმოთ იმაში, რომ ბეჭვდითი სიტყვის თავისუფლება უნდა იყოს აგებული იმავე პრინციპებზე, როგორც ზეპირ სიტყვის თავისუფლებაც. საინტერესოა, რას იტყოდით თქვენ, ბ-ნნო პარლამენტის წევრნო, რომლებიც მხარს უჭერთ ამ კანონპროექტს, ისეთ კანონის შესახებ, რომელიც ზეპირი სიტყვის თავისუფლებას შეზღუდავდა, როგორ შეხედავდით კანონს, რომლის ძალით მაგალითად, ლექტორისათვის, ან მიტინგში გამომსვლელ ორატორისათვის სავალდებულო იქნებოდა გამოსვლამდის ცნობების მიწოდება „კეთილსაიმედობის“ შესახებ პოლიციისათვის, როგორც სავალდებულოა ეს, მთავრობის კანონ პროექტის თანახმათ, რედაქტორისათვის, რომელიც აპირებს გაზეთის „გამოცემას.

დამეთანხმებით მე მგონია, რომ დაუშვებელი და შეუწყნარებელი იქნებოდა, რომ, სანამ ლექტორს მისცემდეთ საჯაროთ ლექციის წაკითხვის უფლებას, მოეთხოვათ მისთვის ცნობები: იცის წერა კითხვა თუ არა, სრულ წლოვანია თუ არა, უფლებები ხომ ახდილი არა აქვს და სხ.

მაგრამ რაც არ არის დასაშვები ზეპირი სიტყვის თავისუფლების შესახებ, ის არ არის დასაშვები ბეჭვდითი სიტყვის თავისუფლების შესახებაც.

მე არ მოგაწყენთ კანონპროექტის სხვა მუხლების გარჩევით, რომლებიც ავიწროებენ ბეჭვდითი სიტყვის თავისუფლებას და ეწინააღმდეგებიან დემოკრატიზმის ელემენტარულ პრინციპებს. მე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას მხოლოდ ერთ გარემოებაზე, რასაც, ჩემის აზრით, ფრიად სერიოზული მნიშვნელობა აქვს.

როდესაც ჩვენ ვეწევით კანონმდებლობითი შემოქმედებას, როდესაც ვქმნით ახალ კანონებს, უნდა ვხელმძღვანელობდეთ შემდეგი კრიტერიუმით: რამდენათ კანონ პროექტი ეთანხმება დემოკრატიზმის მოთხოვნილებებს და დამოუკიდებელი სახელმწიფოს პრინციპებს.

მე მგონია, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს საფუძველი განმტკიცდება ჩვენში იმდენათ, რამდენათაც ჩვენ შეურყევლათ დავიცავთ დემოკრატიზმის მოთხოვნილებებს, დამოუკიდებელი სახელმწიფოს კედლები შეიძლება ჩვენში აშენდეს მხოლოდ დემოკრატიულ საძირკველზე, რომელიც ერთად ერთია საიმედო და შეურყეველ დღევანდელ პირობებში.

საერთოდ მე მგონია, რომ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები ამიერ კავკასიაში და სხვაგანაც იარსებებენ როგორც დემოკრატიული სახელმწიფონი, ან სულ არ იარსებებენ.

ამიტომ მე მგონია, რომ კანონპროექტი, რომელიც ეწინააღმდეგება დემოკრატიზმის პრინციპებს, ეწინააღმდეგება სახელმწიფოს სუვერენიტეტის ინტერესებსაც და ძირს უთხრის მას.

აი ის მოტივები, ბატონებო, რომლებიც მაიძულებენ მე წინააღმდეგი გავხდე მთავრობის მიერ შემოტანილ კანონ-პროექტის და კენჭი მივცე მის წინააღმდეგ

# ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობისაგან

16 ოქტომბერს ნოვოროსიიდან მომავალი გემი „მარიას“ გამძარცველები ფელუგით მოადგენ ზღვის კიდეს გრიგოლეთში, გადმოვიდნენ ნაპირზე და გამოეშურენ სუფსის რაიონის სოფლებში. ცნობა ამის შესახებ წავიდა მთელი რკინის გზის ლიანდაგზე. ყოველი მხრიდან იქმნენ გამოწვეული ძალები. ამოძრავდა მილ. და გვარ. დიდი სიფხიზლე, მხნეობა და გამჭრიახობა გამოიჩინა ხალხმა. მიქელ-გაბრიელის, სუფსის, ჩოჩხათის და ხვარბეთის თემთა ხელმღვანელები შეიარაღებული ძალებით დაედევნენ ყაჩაღებს. ისინი საღამო ხანს შეამწყვდიეს სამსონ გორდელაძის სახლში, მთელი ღამე ყაჩაღები ჩამწყვდეული იყვნენ ამ სახლში და არ ნებდებოდენ. გამთენიოს მოაღწია სუფსის რაიონის მილიციის უფროსის მეგრელიშვილის მიერ ჯავშნიანი მატარებლიდან გამოწვეული ტყვიისმფრქვეველი, რომელიც მიუშვირეს ყაჩაღების ბინას და მოსთხოვეს მათ დანებება. მესამე წინადადებაზე ყაჩაღები სულ 22 კაცი ფულითა და იარაღებით ჩაბარდენ ადმინისტრაციას, რომელმაც მოათავსა ისინი ოზურგეთის ციხეში.

აღნიშნული შემთხვევა იმით არის ღირს-შესანიშნავი, რომ აქ თავის სიმაღლეზე იდგა არა მარტო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალა—მილიცია და გვარდია, არამედ ... მოსახლეობაც მხურვალე დახმარებას უწევდა თავის მთავრობას ... ცნობით მგზავრებიც კი არ უშვებდენ შემთხვევას, რომ დროზე ეცნობებიათ ადმინისტრაციისთვის ყაჩაღების გზა და ბინა.

ხალხისა, გვარდიის და მილიციის ასეთმა შეთანხმებულმა მოქმედებამ შექმნა ის უდრეკი ძალა, რომელმაც გასტეხა წელში გემის გამცარცველი ყაჩაღები და უმსხვერპლოთ დაიმორჩილა ისინი.

ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა აღნიშნავს ამ შემთხვევას, როგორც უტყუარ მაჩვენებელს იმისა, რომ ხალხმა შეიგნო ის საფრთხე, რომელიც მოელის ჩვენი რესპუბლიკის არსებობას ავაზაკების თარეშით და იგი კიდევაც ამოძრავდა მათ წინააღმდეგ. ეს კი იმის თავდებია, რომ ხალხის მიერ წელ-გამაგრებული ადმინისტრაცია შესძლებს სულ მოკლე დროში სრულიად გასწმინდოს გურია ავაზაკ ყაჩაღებისაგან.

აცხადებს რა საყოველთაოდ ამ მისაბაძ შემთხვევას, ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა მაჭრის სახელით უძღვნის მადლობას მიქელ გაბრიელის, სუფსის, ჩოჩხათის და ხვარბეთის და აგრეთვე მადლობას უცხადებს ადგილობრივ გვარდიას და სამაზრო მილიციას, რასაც აცნობებს რესპუბლიკის მთავრობას და შუამდგომლობს მის წინაშე განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრას ამ საქმეში მონაწილეებს.

ოზურგ. სამაზრ. ერობის გამგეობა.

# ს.-დ. პარტიაში

ჭიათურა. 3 ოქტომბერს შესდგა ჭიათურის კომიტეტის სხდომა. 1. დადგენილ იქნა კანდიდატები მიღებულ იქნას სრულ უფლებიან კომიტეტის წევრებათ. 2) ამხ. შ. გოდაბარელიძემ გაასწოროს თავის კორესპონდენციაში ის ნაწილი, რომელშიაც შეცდომაა. 3) სამაზრო კომიტეტში ისევ არჩეულ იქნა ამხ. მ. დობორჯგინიძე. 4) სიის შესწორება ხმოსანთა გადაეცა რაიონულ კოლექტივების წარმომადგენლების კრებას. 5) რგანის პარ. კრება გადაიდვას, ვინაიდან კოლექტ. წარმომადგენლების კრებაა ამ დღეს. 6) მდივნის მოვალეობა როგორც სხვა პარტიულ ორგანიზაციებში (მაგ. თფილისი) ისეთი მოვალეობით განისაზღვროს და მას მოემატოს ჯამაგირი ე. ი. პირველ ოქტომბრიდან მიეცეს 1500 მან. 7) დარაჯს მიეცეს პირველ ოქტომბრიდან 800 მ. 8) ვ. კაპანაძის შესახებ კითხვა გაიდაიდვას შემდეგისათვის. 9) დადგენილ იქნა: ვინაიდან ერთი მუდმივი პროფ. მომუშავე საჩხერეში საჭიროა და მეორე ჭიათურის რაიონში და ჯერ არც ერთი არა გვყავს, მიენდოს სამაზრო კომიტეტს გამონახოს პროფ. მომუშავე ორივე მხარისათვის. 10) ამხ. ვ. არდიშვილს მიეწეროს, რომ უპატრონოს მის ბარგს, ე. ი. გადაიტანოს 15 დღის განმავლობაში, ვინაიდან ხელს უშლის რევოლიუციონურ ორგანიზაციებს მუშაობაში. 11) დადგმულ იქნას ტელეფონი ფასით რაც საზოგადოთ არის. 12) შეწყნარებულ იქნა შრომის სამინისტროს რწმუნებულის განცხადება მისი მოვალეობიდან განთავისუფლების შესახებ და დაევალოს ამხ. მხარი დაუჭირონ ამ დადგენილებას სხვა ორგანიზაციებშიც. 13) ამხ. ვ. წერეთლის განცხადების შესახებ დაევალოს თავმჯდომარეს შეეკითხოს თუ შესაძლებელია პრეზიდიუმმა გაარჩიოს, თუ საჩქაროა, წინააღმდეგ შემთხვევაში დასმულ იქნას მომავალ კომიტეტის სხდომაზე. სარევიზიო კომისიაში არჩეულ არიან: სპირიდონ კიკნაძე, ევ. თოლუა და კოლია ჩხეიძე. კანდიდატებათ ს. კაციტაძე და ი. პეტრიაშვილი.

მდივანი მ. დობორჯგინიძე.

ნოსირი. 18 ოქტომბერს შესდგა ნოსირის ს. ს. დ. მ. პ. საერთო კრება. კრებამ სასურველად სცნო, რომ დაეშვათ გარეშე პირებიც, რადგანაც დღიური წესრიგში დასმული იყო ფრიად საინტერესო კითხვები. 1) ნოსირის ერობის გამგეობის მოქმედება, 2) მოხსენება ფრონტის დღეზე. პირველი კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებენ წინასწარ არჩეული კომისიები, რომლებმაც აშკარა ჰყვეს ერობის გამგეობის დანაშაული საზოგადოების წინაშე. კრებამ ხანგრძლივი კამათის შემდეგ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია ამ ელემენტების გაძევება გამგეობიდან და ნდობით აღჭურვილი ამხანაგების ჩაყენება. მეორე კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა ყ. ოდიშარიამ, რომელმაც განუმარტა დამსწრეთ, რომ ფრონტის სასარგებლოდ ნოსირში მოგროვდა 2,495 მანეთი, რომელიც უკვე გადაეცა სენაკის „ფრონტის დღის“ მომწყობ კომისიას. დასასრულ დამფუძნებელი კრების წევრი ამხ. ბარნაბა ძველაია მოხსენებას აკეთებს მომენტის

შესახებ. კრება მოხსენებით კმაყოფილი დარჩა.

ნოტარის საზ. კოლექ. თავმჯდომარე
უარ. ოდიშარია.

# მუშათა შორის

**ბორჯომი.** ბორჯომის სახელმწიფო მამულის მუშებმა ერთბაშათ გაიბერტყეს ყურები. თითქოს იგრძნეს თავიანთი შეცდომა და ცდილობენ, რაც ამ თავისუფლების ხანაში დრო მუქთად დაუკარგავთ, ეხლა აინაზღაურონ. რაღაც ხუთი ექვსი თვის განმავლობაში მოაწყვეს მუშათა კავშირი; რაიც აერთებს ათასამდე მუშას. მერე გახსნეს სახალხო სახლი, დაავალეს ამხანაგ ბასილაშვილს, რომ შეეძინა წიგნები და გაეხსნათ სამკითხველო, რაიც მინდობილი საქმე პირნათლად შეასრულა. გახსნეს კოოპერატივი, ბორჯომის მუშა მოსამსახურეები სუყველა შეერთდენ. ეხლა ბორჯომის რკინის გზის მუშებიც ითხოვენ, რომ მათთან შეერთდენ კოოპერატივში. ახლო მომავალში შეაერთებენ საავადმყოფო კასებსაც. მაშინ ჩარხის წყალზე ექნებათ კანტორა თავის სამი საქმის გამგითა: ერთი კავშირის საქმის მწარმოებელი, ერთი კოოპერატივისა, ერთი საავადმყოფო კასისა. ეხლა ამ ღვინობისთვეში გახსნიან მუშათა კლუბს. ყველა ამ მუშათა კულტურულ განვითარებაში დიდ დახმარებას გვიწევს ადმინისტრაცია.

მუშათა კავშირის გამგეობა დიდ მადლობასა სწირავს ყველა იმ პატივცემულ პირებს, ვინც მუშათა სამკითხველოს შემოსწირეს წიგნები, ან გვათხოვეს.

კავშირის თავმჯდომარე ბ—ი.

# ავლაბარი

26 ოქტომბერს სახალხო უნივერსიტეტის შენობაში შეიკრიბა ავლაბრის მოქალაქეთა ფართო კრება, რომლის მიზანი იყო სანიტარული საბჭოს არჩევა და კოოპერატივ „ალორძინების" მომავალი არჩევნების რწმუნებულთა და კანდიდატთა სიის შედგენა. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ნ სხულუხია, მდივნათ ოლ. ბ—ძე. ამხ სხულუხიამ კრებას განუმარტა საერთოთ სანიტარული საბჭოს არჩევის მნიშვნელობა და კერძოთ ქალაქის განაპირა უბნებისთვის, სადაც ფეხს ადვილად იკიდებს უსუფთაობა და ამისგან გამოწვეული ათასგვარი ავათმყოფობანი. კრებამ აირჩია სანიტარული საბჭო ავლაბრის რაიონისთვის შემდგარი შემდეგი პირებისაგან: ბეჟაშვილი სიმონ, ხეჩიაშვილი ვლადიმერ, ბედენაშვილი ნიკო, ხუციშვილი იოსებ, წივწივაძე მიხეილ, გალუსტოვი გეურქ, აბულაძე მაშო, მურმანიძე სამსონ, არგანაშვილი გიორგი, აბვერდოვი დავით, მიქაძე ნიკო, დოლიძე ლავრენტი, ბაქრაძე ოლიმპიადა, ამბარცუმოვი სარქის, იანქაშვილი გიორგი.

სანიტარული საბჭოს არჩევის შემდეგ კრებამ შეიმუშავა კოოპერატივ „ალორძინების" რწმუნებულების სია, და მათი კანდიდატები, სიას რწმუნებულებისას ამ დღეებში დაბეჭდილს მიიღებს საარჩევნო კომისია, რომელსაც დაარიგებს ამომრჩევლებში.

ვერხვი.

# ქართველ ბებია-ქალების საყურადღებოდ

ექიმის თანაშემწეთა პროფესიონალურმა კავშირმა, თანახმად ქართველ ბებია-ქალთა ჯგუფის თხოვნისა, მიჰმართა ქართველ ექიმთა საზოგადოებას, რომ ამ უკანასკნელმა მოაწყოს ქართული კურსები, სადაც შეეძლებათ ბებია-ქალთ მიიღონ საფერშლო ცენზი ქართულ ენაზე.

ამ გვარი კურსების აუცილებლობა იქიდან გამომდინარეობს, რომ საბებიო ინსტიტუტის ნაციონალიზაცია მოხდა 1918 წ. და აგერ ორი კურსის მსმენელმა ბებია ქალებმა უკვე დაამთავრეს ქართულ ენაზე სწავლა, ეხლა კი მათთვის აუცილებლად საჭიროა საფერშლო ცენზის მიღება.

მართალია არსებობს ქალებისათვის ამ გვარი კურსები რუსულ ენაზე, მაგრამ მას, ვისაც ქართულად გაუთავებია საბებიო ინსტიტუტი, ძალიან გაუძნელდება რუსულად საფერშლო კურსების გათავება, ასე რომ ბევრი მათგანი რჩება შუაგზაში გაჩერებული.

აი სწორედ ამ გარემოებამ აიძულა ექიმის თანაშემწეთა კავშირი აღეძრა ამ გვარი საკითხი.

ექიმთა საზოგადოება გულმხურვალედ მოეკიდა ამ საქმეს და იმედია სულ მოკლე ხანში კურსები დაარსდება. განზრახვაა გაიხსნას სალამოს კურსები. ლექტორები იქნებიან სპეციალისტები, რომელთაც ექიმთა საზოგადოება აირჩევს.

იქნება შესაფერი შუამდგომლობა, რომ კურსები მოთავსდეს ან საფერშლო სასწავლებლის ბინაზე, ან ოლღას საბებიო ინსტიტუტში.

ამ საქმის დეტალების გამოსარკვევად საჭიროა ვიცოდეთ რამდენი ქალი მოისურვებს ჩაწერას კურსებზე.

მსურველთა წინასწარი ჩაწერა შეიძლება ან საბებიო ინსტიტუტში ბებია ქალ ნიჟარაძესთან, ან კავშირის თავმჯდომარე ალ. კოვლელაშვილთან კახეთის რკინის გზის სამმართველოში (კიროჩნი და ელისაბედის ქუჩების კუთხე) 9 საათ. 1 საათამდე.

როდესაც დამთავრებული იქნება წინასწარი ჩაწერა, დაინიშნება საზოგადო კრება და მაშინ დამუშავდება პირობები.

ამავე დროს ექიმთა საზოგადოების პრეზიდიუმი ექ. მუხაძის მეთაურობით გამოსძებნის შესაფერ ლექტორებს.

იმედია ამ სიმპატიურ საქმეში ხელს შეგვიწყობენ ექიმები, თანაშემწეები და ფართო საზოგადოება.

მსურველების ჩაწერა დაიწყება დღეიდან და დამთავრდება ერთი კვირის განმავლობაში.

გამგეობა.

ვთხოვთ ყველა ქართულ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

გამგეობა.

# პროვინცია

**საგარეჯო-კაკაბეთი (კახეთი).** 10 აგვისტოს და 11 სექტემბერს ს. საგარეჯოს და კაკაბეთის მცხოვრებნი უბნისა და სხვა სოფლის კომისართა და მარტყოფიორის ტყის მოურავის თანაშემწე ამხ. უგრელიძის თანადასწრებით შეყრილიყვნენ იორ მუღალნოს მუსულმანთა სოფელთან მდებარე „ყორუღის" ტყეში და მსჯელობდნენ ამ ტყის ველ მინდერების თავიანთ შუა გასაყოფად. ამ კრებაზე დამსწრენი თათბირობდნენ თუ სად ჩაეყარათ მიჯნები, რამდენი ერგებოდათ გარეჯელებს და რამდენი კაკაბელებს. ეს ამბავი იორ მუღალნოელ მუსულმანობას შეეტყოთ და შეფუცხუნებულიყვნენ. განა შესაფუცხუნებელი არ არის ასეთი საქმე? აქაური მუსულმანები მამულზე საზოგადოდ და კერძოდ ტყეზე ძაან სუსტად არიან. კაი ხანია ს. საგარეჯოდან მუსულმანები იღებენ ას დესეტინა სახნავ სათეს მინდორს 30,000 მანეთად წელიწადში. ასე მიდიან იოლას მიწის შესახებ, მაგრამ რა უშველონ თავის თავს ტყის შესახებ? ადამიანს ყოველ დღე და ყოველ საათს სჭირდება შეშა, ფიჩხი პურის საცხობად და სხვა ხის მასალა. სად უნდა წავიდეს იოლას ამ საგანში იორ-მუღალნო? ეს „ყორუღის" ტყე მათ ცხვირ წინაა (ნახევარ ვერსზე). სხვა ტყეები მათგან 20 ვერსზეა დაშორებული. აბა ხელმოკლე ხალხი როგორ უნდა წავიდეს ოც ვერსზე? წავიდეს და ერთ დღეში ხომ შინ ისევ ვერ დაბრუნდება და ღამე ტყეში დარჩენა კი სახიფათოა! საგარეჯოდან ეს ტყე 20 ვერსზეა, ხოლო კაკაბეთიდან—7 ვერსი. თუ სადმე სამართალია, საგარეჯოს არაფერი არ უნდა ერგოს და იორ-მუღალნოს და კაკაბეთს უნდა დარჩეთ ეს ტყე. ამ სიშორეთ წამოსვლას, გარეჯელებს არ ურჩევნიათ თავიანთ ზურგთ უკან, ახლო ტყეში წავიდნენ? თუ მათი ტყე არ ვარგა და „ყორუღი" უკეთესია, ეს ჩვენი ბრალია, ჩვენ შეგვინახავს.

მივმართავ შეგნებულ ქართველთ და ამხანაგებს: გვიშველეთ, რომ ჩვენ ერთმანეთთან დამოკიდებულობა უფრო სამართლიანად მოვაწყოთ, ვინც არ იცის, უნდა გაიგოს, რომ ჩვენ, მუსულმანები საქართველოსი, ზღუდე ვართ მისა და ადერბეიჯანს შუა, ამ ზღუდეს ცნობა, გაგება, გაფრთხილება და მოვლა უნდა! არა თუ უგულბელი ყოფა!

ხოინგულ მამედოვი.

---

**ბუგეული.** (რაჭის მაზრა) 19 მარიობისთვეს 1919 წ. ს. ბუგეულში (რაჭის მაზრა) ადგილობრივ აბანოს ჭეზოში გაიმართა სალამო ფრონტის, ადგილობრივი ფოსტის შენობის და სასარგებლოთ. საზოგადოებამ დიდი თანაგრძნობა გამოიჩინა, ბევრი დაესწრო და სალამომ კარგად ჩაიარა. სალამოს შემოსავალი: შემოწირულება ფულათ 463 მ., სანოვაგით 400 მ., ბილეთებიდან 2,000 მ., ბუფეტიდან 2615 მ., სულ 5478 მ. დაიხარჯა სულ 2201 მ. 40 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 3276 მან. 60 კ. აქედან ფრონტის სასარგებლოთ გაიგზავნა 1500 მანეთი. ადგილობრივი ფოსტის შენობის ასაგებათ 1500 მან. და სამკითხველოსთვის 276 მ. 60 კ. სალამოს მომწყობი კომისია უღრმეს მადლობას სწირავს ყველა შემომწირველთ, ადგილობრივ ახალგაზრდა სცენის მოყვარეთ და ყველა იმ პირთ, ვინც ხელი შეუწყო სალამოს კარგათ ჩატარებას. მომწყობი კომისიის დავალებით ა. ნიკოლაიშვილი.

---

**ს. მეჯვრისხევი.** (გორის მაზრა). 28 ოქტომბერს ღამის ორ საათზე ადგილობრივი გვარდიის უფროს ექვთიმე წიფურიას მეთაურობით [გვარდიელებმა და მილიციონერებმა შეიპყრეს ს. ბერშუეთში ცნობილი ყაჩაღი გიორგი (პანჩო) ჯაბახიძე იარაღის აყრის შემდეგ მეჯვრისხევში წამოყვანის დროს ოქმის შესადგენათ და სათანადო მთავრობას თან წარსადგენათ, იგი ბერშუეთიდან ერთი ვერსის მანძილზე დაშორებით გზიდან გაიქცა და იმისდა მიუხედავად, რომ რამდენჯერმე გაფრთხილებულ იქნა და მან ისევ განაგრძო გაქცევა. ამიტომ მოკლულ იქნა. გვამი მოკლულისა და მისი იარაღი გადაეცა ადგილობრივ მილიციის უფროსს წარსადგენად სადაც ჯერ არს.

---

**სამტრედიის რაიონი.** მეტათ უნუგეშოა ის პერსპექტივები, რომლის წინაშეც ამ ჟამათ დასახელებული რაიონის გლეხკაცობა იმყოფება: ჰირნახულის მოსავალი საერთოთ და კერძოთ სიმინდის—იმდენათ მცირე ყოფილა წელს, რომ მართლაც დამაფიქრებელია აქაური სოფლის მეურნის მდგომარეობა წელს წლის საზრდო სიმინდი თითქმის არავის არ მოსვლია, მხოლოდ ის, რაიც უკვე მოიწია სოფლის მუშაკმა, მეტათ ცუდი ღირსებისაა: წვრილი, ნახევრათ დამპალი მარცვლიანი და ამ რიგათ თითქმის ნახევრათ უვარგისი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ ხანებში მთავრობის მიერ წარმოებული სასურსათო პოლიტიკის წყალობით, სოფლათ ამ ჟამათ აქა-იქ კიდევაა დარჩენილი ძველი წლის მოსავლის სიმინდი. რომ წელს ჰირნახულით ვაჭრობა მთავრობის მიერ არ ყოფილიყო შეზღუდული, თამამათ შეიძლებოდა თქმა, რომ ამ ხანათ სოფლათ ერთი მარცვალი სიმინდიც არ დარჩებოდა გაუყიდველი.

და სწორეთ ეს გაუყიდველათ დარჩენილი შარშანდელი სიმინდია ამ ჟამათ აქაური გლეხის ერთათ ერთი იმედი, რომელსაც კიდევ შეუძლია ასე თუ ისე შეუმსუბუქოს მას მოსალოდნელი მდგომარეობის სიმძიმე. ამ მხრივ, წარმოებული პოლიტიკის დადებითი მნიშვნელობა ყველასათვის ნათელია.

აგრარული რეფორმის მსვლელობის ახალი ფაზისადმი მეტათ დიდი ინტერესს იჩენს აქაური გლეხკაცობა. ისინი მოხარული არიან მიწის მზომელების ჩასვლის, მიცემული მიწების შემოსაფარგლავათ. მხოლოდ, რაც შეეხება მიწების გამოსყიდვას, ამ მხრივ არ მალავენ თავის უკმაყოფილებას, ემჩნევა, რომ ამ უკმაყოფილებას ხელოვნურათაც აღვივებენ სოფლელ გლეხებში დაინტერესებული პირები. საერთოთ, აგრარული საკითხის მსვლელობა ისეთი ფაზაშია დღეს, რომ მისი გარშემო უკმაყოფილების ნიადაგის მომზადება საძნელო საქმე არ არის. ამ მხრივ დიდი სიფრთხილე და წინდახედულობაა საჭირო.

თ. ბაშელი.

---

**გორის მაზრა.** სამაზრო ერობის ტეხნიკურ განყოფილებას განზრახვა აქვს მეორე რიგში მოაწყოს მორწყვა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის ველებზე—ქარელიდან სკრამდე მდინარე მტკვრის წყლით და მტკვრის მარჯვენა ნაპირის ხიდისთავიდან ვიდრე მდ. თეზამამდე, რომელიც მორწყავს დოესის მიდამოებს და სხვა. განზრახვა აქვთ მექანიკური საშუალებით წყლის აყვანა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირებზე, როგორიცაა აშურიანის ველი და სხვა. განზრახულია მდინარე დიდი ლიახვიდან მარჯვნით წყლის გადაყვანა სალთვისის მინდვრების მოსარწყავათ. რაც შეეხება მდინარე დიდი ლიახვიდან ტირიფონას ველისაკენ წყლის გადაყვანას, ახლო მომავალში შეუდგებიან, რომლის მაგისტრალის (უმთავრესი არხის) სიგრძე დაახლოვებით 60 ვერსი იქნება. თუ ყველა ეს განზრახვები გორის სამაზრო ერობამ ახლო მომავალში განახორციელა, იმ შემთხვევაში ჩვენს რესპუბლიკას სურსათ სანოვაგით ადარ გაუჭირდება.

გორის სამაზრო ერობის გამგეობამ 20,000 მან. გადასდო ჯარისკაცთა და სახალხო გვარდიელთათვის სახალხო უნივერსიტეტის დასაარსებლათ ქ. გორში და აგრეთვე 5000 მან. ხე ტყის მასალა დაუთმო უფასოთ სახალხო უნივერსიტეტის შენობის ასაგებთ.

38 სექტემბერს, ღამით, გორის მაზრის მილიციის სამმართველოს კედელი დაანგრიეს და გაიქცენ ყაჩაღი დათაშვილი და ქურდი ნაოჰაშვილი, რომელთაც მყისვე დაედევნენ მილიციონერები. ყაჩაღი დათაშვილი მოკლულ იქნა.

ბორჯომის რაიონის მილიციის უფროსმა შეიპყრო ბაკურიანის ხეობაში ცნობილი ქურდი და ყაჩაღების დამხმარე სირია გელაშვილი.

10 ოქტომბერს, გორის მაზრის მილიციის უფროსმა დააპატიმრა ბაშურის მილიციის უფროსი ხაჩიძე 4 მისი მილიციონერებითურთ, რომელთაც ბრალდებათ ამ რაიონში მოთარეშე ყაჩაღებთან კავშირი.

ი. ქარტილელი.

---

**ჯიხანჯირი (ჩოხათი)** გასულ წელს ოზურგეთთან უკანასკნელ შეტაკების დროს ოსმალებთან ს. ვაშნარში, ჯიხანჯირის უბნიდან ერთი დღის ბრძოლაში დახოცილ იქნა 37 საუკეთესო მებრძოლი ახალგაზრდები. ამ უკანასკნელად ხსენებულ უბნის მცხოვრებლებმა განიზრახეს, ჯიხანჯირის უბნიდან ვაშნარში დახოცილთა პატივის ცემის აღსანიშნავად იმ პატარა უბანში, საიდანაც მცხოვრებთა თითქმის ერთი მესამედი მსხვერპლად შეეწირა ჩვენი თავისუფლების დაცვა შენარჩუნებას, აგებულ იქნას ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რისთვისაც საალმშენებლო კომიტეტიც იქნა არჩეული. 21 სექტემბერს საალმშენებლო კომიტეტის ინიციატივით ჩოხატის სცენის მოყვარეებისაგან გამართულ იქნა წარმოდგენა, წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო ბილეთებიდან შემოვიდა 5271 მან. და ბუფეტიდან 1230 მ. 20 კ. სულ წმინდა შემოსავალი 6511 მ. და 20 კ. რაც დანიშნულებისამებრ გადაეცა საალმშენებლო კომიტეტს. ყველასათვის ცხადია, დღევანდელ პირობებში ასეთი პატარა თანხა დიდს ვერაფერს გააკეთებს და ამიტომ საალმშენებლო კომიტეტი მოუწოდებს ყველა გულშემატკივართ, გაიღონ თავიანთი წვლილი ამ დაწესებულების სასარგებლოდ, როგორც მაგალითად: ჟურნალ გაზეთების, ბროშიურების, ქარტების, სურათების და ფულის შემოწირობით. შემოწირულება გამოიგზავნება შემდეგი მისამართით: სად. სუფსა, ჯიხანჯირში იაკობ გ. ჯიჯიეიშვილს.

პატ. საალმშენებლო კომიტეტის მონდობილობით არსენ ხარიშვილი.

# წერ. რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! გთხოვთ დაგვიბეჭდოთ შემდეგი: განათლების საზოგადოების გამგეობამ მიიღო დათიკო როსტომაშვილის ხელით (ციმბირში მცხოვრებ ქართველებისაგან შემოწირულება 1750 მან სია შემომწირველთა: გერმან თოთიბაძე—400 მ, მ. გორგაძე—400 მ, მოსიკო გრ. თოხაძე—200 მ., მ. ს. დოლიძე—100 მ., ალფეს ფურცხვანიძე—100 მ., იაგორ ჯაყელი—100 მ., პეტრე გელ. ქიკულაი 100 მ., გერასიმე კანდელაძე 60 მ., დიმიტრი როსტ. სულავა 50 მ., გრიგოლ კონსტ. პერტეხავა 50 მ., ზოსიმე გუჯუნავა—50 მ., ისიდორ ივ. ჰანტურია 50 მ., ლ. ნაცვლიშვილი—40 მ., დათიკო როსტომაშვილი—40 მ., ს. ვარდანაძე—10 მან. ჯამი 1750 მ. „განათლების" საზ. გამგეობა ზემოხსენებულ პირთ უხვი შემოწირულებისთვის დიდ მადლობას უცხადებს.

თავმჯდომარე გამგეობისა ანასტასია წერეთლისა.

# ანგარიში

(დამატებითი) ს. ს. დ. მ. პ გურიის კომიტეტისა, რომელიც წარმოადგინა კომიტეტის დროებითმა მდივანმა ამხ. ანდრია დობორჯგინიძემ. შემოვიდა საწევრო აკანის კოლექტივისგან 31 მან., ხვარბეთიდან 650 მ, ახალშენიდან 150 მან, იქიდანვე რ. ჩიხლაძის ოჯახობის სასარგებლოთ ამხანაგებში მოგროვილი 98 მ., იქიდანვე საწევრო წიგნაკების 25 მ., სულ 959 მ.

ამ ფულიდან დახარჯულია: ტელეგრამების 52 მან. 50 კ., გზის ხარჯები 400 მ., წიგნის მაღაზია „განათლებას" 115 მ. 40 კ., საბეჭდავში თამარა განიძეს 100 მ., პრეზიდიუმის მაგიდის გადმოტანა 10 მ., ფოსტის მარკები 107 მ. 40 კ. სულ 785 მ. 30 კ.

დარჩა დაუხარჯავი 173 მ. 70 კაპ., რომელიც გადაეცა კ—ტის მოლარეს პ. თოთიბაძეს.

პრეზიდიუმი.

# განცხადებანი

ქ. ბორჯომში

## იყიდება სახლი

ხუთ ოთახიანი 176 ოთხ-კუთხედი საჟ. მიწით, სამზარეულოთი, სარდაფით, წინ ბაღჩა ხეხილით. მისამართი: თორის ქ. № 126. (კუპ. 522—1—1)

## იყიდება სახლი

ერთ ოთახიანი ანტონიევის ქუჩაზე № 60. მიწა ზომით 126 საჟ. აგრეთვე იყიდება იქვე გამოსაწვავი აგური 60000 ცალი და სხვა საშენი მასალა—შეიძლება წერილობით მიმართვა.

## რვეულები

იყიდება ბითუმათ, საყდო ბრუკისა. კრუზენშტეინის ქ. № 3. (2829—3—1)

## რვეულები

მოწაფეთათვის, საუკეთესო ქაღალდისაგან იყიდება ბითუმათ და ცალობით. მისამართი: ვორონცოვის ძეგლის ახლო, ვ. მალხაზიანის მაღაზია. (2752—10—5)

ექიმი **ნიკოლოზ მახვილაძე** იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე სალამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11 (ზემელის აფთიაქის ახლოს). (2795—თ.)

---

ექიმი **არუთინოვი.**
დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფთა მიღება. შინაგან სნ. ავათმყოფების დილის 9 ნახ.—11 ნახ. საათ. ვენერიულის (სიფილისი, ტრიპერი და მათი შედეგები) კაცების სალამოს 5—6 საათ. ქალების სალ. 6—7 საათ. „914" „606" შეშხაპუნება. მიხეილის პროსპ. № 80 ბინა (თ. 2816)

---

ოზურგეთში
ექიმი **ს. ვ. აბაშიძე**
მიიღებს ავათმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების. ჰლექის ექიმობა „ტუბერკულინით" და „ფოსფაციდიდ", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—914" და „606" შეშხაპუნებით.

---

ექიმი **ივ. ბოკერია**
იღებს ქირურგიულ, ქალთა სნეულების და საავადმყოფო ავადმყოფებს ყოველ დღე ვაგზლის სამკურნალოში 12—1 ს. ვაგზლის ქუჩაზე, შიხინოვის აფთიაქის გვერდით, სახლი 8, ტელეფონი 6—95. (თ. 2744)

---

კბილის ექიმი
**ე. მ. ბიბაშვილი-იხაკიანი**
იღებს კბილისა და პირის ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და სალამოს 4—7 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 15 ბინ. 3. კონსერვატორიის მახლობლად.

---

ექიმი **დ. ს. ჯაფარიძე**
დებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. სალამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

---

ექიმი **ა. ლივინშტეინი**
შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჰაჟების ავათმყოფობათა. **რენტგენის სხივები.** კრილოვის ქ. სახლი № 5 გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და სალამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

---

დოქტორი **როზმიდიუს ვაჟაძე.**
სპეციალურად ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებიან ავათმყოფთა მიღება დილის 11—12 სალამოს 4—5 ნახ. საათ. გერმანელთა სამხედრო საავათმყოფოში ნაზერეჟნაია ქ. № 15 კვირა დღეების გარდა (2603—2—2)

---

ექიმი **ნ. დ. ტურიაშვილი**
იღებს ავადმყოფთ შინაგან, ქალურ და საბებიო სნეულ. მუდამ დღე 11—1 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

---

ექიმი **მ. ჩიჯავაძის** ბაქტერიოლოგიური, სერო დიაგნოსტიური და ქიმიურ-მიკროსკოპიული **ლაბორატორია**
იღებს გამოსაკვლევად სისხლს: Wassermann-ის; Weinberg-ის, Widal-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია, Opermeyer-ის სპიროჰეტები და სხვა. შარდს, განავალს, ნახველს, რძეს, ლორწოს, ჩირქს, ზურგის ტვინის სითხეს, კუჭის სითხეს და სხვა. ამზადებს აუტოგენიურ ვაქცინას. 26 მაისის (ოლღას) ქუჩა. გაბაანთ შესახვევი № 3. მასალა მიიღება დილის 9—1 საათამდე და სალამოს 5—7 საათამდე.

---

ექიმი **ბესარიონ პაპავა**
მიიღებს განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღე 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. სად. მიხეილის პრ. 117, ტელ. 13—27.

---

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა [illegible]
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა [illegible] და წამლობა Xi სხივებით. [illegible] ფრობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და სალამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

---

მედიცინის დოქტორი
**ა. ა. როსსი.**
ნერვიული, შინაგანი და საბავშვო ავათმყოფობანი ელექტრო-სხივების მკურნალი კაბინეტი, ჰიპნოზი შთაგონება. ავათმყოფების მიღება დილის 10 ნახ. საათამდე, სალამოს 6—7 საათ. კვირაობით და ხუთშაბათობით სალამოობით ავათმყოფები არ მიიღებიან. მიხეილის (პლეხანოვის პრ.) № 111 ტელ. 13—[illegible]

---

ექიმი **დ. გ. ჯავახიშვილი.**
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის სალამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პრ. № 64. (საავათმყოფოს ახლოს) ტელეფონი 14—60. (თ.—2861)

---

დოქტორი **ი. ი. ბამბურაძე.**
სისხლის გამოკვლევა სიფილისზე (Wasserman-ის რეაქცია) ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა დიფტერიაზე, [illegible]ზე, გონოკოკზე და სხვ. პირადათ ნახვა დილის 8 ნახ.—10 ნახ. საათ. სალ. 5 საათ. დიფტერიტზე მიიღება დილის 8 სად. 8 საათ. გრიბოედოვის ქ. № [illegible] ტელეფონი 16—82.

---

ექიმი **ე. ა. შაჩაძე**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე განოების სნეულებანი. ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 8—11 სალამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.

---

ექიმი **დ. ა. ხარაძე.**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე სალამოს 6—[illegible] საათამდე ჩერქეზიშვილის ქუჩა № 8[illegible] ავჭალის აუდიტორიის ახლო.

---

დოქტორი **ი. ბოლდინიძე.**
თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა [illegible] თვალსათვის. მიღება 8—12 საათამდე სად. 4—7-დე ნიკოლოზის ქ. № 3[illegible]

---

ექიმი ქალი **რ. ბ. [illegible]**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტის და ედინბურგის მედიკურ ქირურგიული კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დახმარებას **სიფილისის წამლობა (606—914)** დილის 10—12 ს. და სალამოს 5-6 ს. [illegible]ნოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—[illegible]

---

ექიმი **იოსებ რაფიელის ძე ცინცაძე**
იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ სალამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

---

ექიმი **ა. ვ. ჭუთათელაძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ სად. 5—7 საათ. გარდა კვირისა. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

---

ექიმი **ა. დ. [illegible]**
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606" და „914" მიღება დილით 9—11, სადამოთი 4—[illegible] ს. მიხეილის პროსპ. სასტუმრო „ნორდ" პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

---

ქართული აქციონერული საზოგადოება „ოქროს ვერძის" გამგეობა ამით აცხადებს, წესდების § 9 ძალით, რომ მის მიერ 1918 წლის ივნისის თარიღით ბესარიონ (კოწია) დათეშიძეზე გაცემული დროებითი კვიტანცია № 49 (წიგნი № 2) ვადაში კვიტანციის პატრონზე დარჩენილი ფულის შემოუტანელობის გამო გაუქმებულად ითვლება კანონიერი შედეგებით. (2832—1—1)

---

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ **ოგოლი მუშის**
ახალი პოემა
## „წამების ჯვარზე"
(უფ —4—1)

---

# მოქალაქენო!

იხარგებლეთ ბედნიერი შემთხვევით: დღესვე შეიძინეთ ლატარიის ოცდა-ხუთ მანეთიანი ბილეთი, რომ 2 ნოემბერს შეძლება მოგეცეთ— **ასი ათას მანეთის მოგებისა!**

შაბათს, ლატარიის გათამაშების წინა დღეს, 1 ნოემბერს, მთელ ქალაქს მოედება ორასი სტუდენტი, ვისთანაც შეგეძლებათ ბილეთის შეძენა.

პირველი მოგება **100,000** მანეთია
მეორე მოგება **50,000** მანეთი, და სხვ.

სულ მოგებისათვის გადადებულია **ნახევარი მილიონი მანეთი.** (ნ. 3—2)

---

ცენტრალურ სასურსათო საბჭოს სჭირდება საპნის ქარხნის გამგის თანამდებობაზე საპნის დამზადების მცოდნე

## სპეციალისტი-ქიმიკოსი

მსურველთ უნდა წარმოადგინონ საბჭოში (მადათოვის ქუჩა, № 3) თხოვნასთან ერთად სათანადო მოწმობები. (3—3)

---

## ცენტრალური სასურსათო საბჭო ჰყიდის გოგირდს და შაბიამანს

ფასების გაგება შეიძლება საქმეთა მმართველთან, საბჭოს ბინაზე, (მადათოვის ქუჩა № 3), დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (3—3)